# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი სამშაბათი 18 სექტემბერი 2007 №215 (3138) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# იამაყეთ, ქართველებო!

## დავით ბედინაძე მსოფლიოს ჩემპიონია!



წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. ჩვენ კი შემოდგომის გარიჟრაჟზე ოქროები მოგვეძალა. სამი დღის წინ რიო დე ჟანეიროში ძიუდოისტი ირაკლი ცირეკიძე გახდა მსოფლიოში საუკეთესო, გუშინ კი ბაქოში მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და ჩემპიონობა ბერძენ-რომაელმა დავით ბედინაძემ მოიპოვა. აზერბაიჯანული ხალიჩა ოთხი დღე არ აიშლება და მასზე კიდევ თერთმეტი ქართველი გავა. დღეს ოქროს აღმართს მანუჩარ კვირკველია, ბადრი ხასაია და რამაზ ნოზაძე უნდა შეუყვნენ.

# ევროპა და საქართველო: დღეს ჩემპიონთა ლიგა იწყება

სექტემბერია, მაშასადამე, ჩემპიონთა ლიგა იწყება. სასექტემბრო ლიგას ის თავისებურება ახლავს, რომ დიადთა ჯახები ნაკლებია ხოლმე, მაგრამ დიდ საკლუბო ფეხბურთს დანატრებული გულშემატკივრისთვის მაინც გვარიანი ხიბლი აქვს — სწორედ ამ მონატრების გამო.

საამსეზონო ლიგაში ტრადიციულად ითამაშებს მისი ორგზის მომგები კახა კალაძე. ამ ლიგაში ითამაშებს ლევან კობიაშვილიც. ლიგის „ქართულობაც“ ამ ორი კაცით მთავრდება. ხოლო იმ დრომდე, როცა ჩემპიონთა ლიგაში ქართული კლუბი ითამაშებს, ალბათ ჯერაც შორია. მაგრამ რომელიღაც სექტემბერში ეგებ ესეც იყოს...










AFP

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური

### A ჯგუფი

თბილისი. 18 სექტემბერი. 16 საათი. ამერი

**ამერი თბილისი — ტორპედო ქუთაისი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; კ. გუდურაშვილი, დ. სანოძე; ვ. გუმბერიძე

ახალციხე. 18 სექტემბერი. 16 საათი. მ. იაძე

**მესხეთი ახალციხე — სპარტაკი ცხინვალი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, ი. მაზიტიძე; ხ. გაგნიძე

### B ჯგუფი

მცხეთა. 18 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი

**ვიტ ჯორჯია თბილისი — ლოკომოტივი თბილისი**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; ზ. ხუციშვილი, ზ. გურგენაძე; ი. ურუშაძე

თბილისი. 26 სექტემბერი. 16 საათი. ეროვნული

**დინამო თბილისი — მაღაროელი ჭიათურა**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ჟვარიძე, გ. ყრუაშვილი; მ. ურუშაძე

### C ჯგუფი

რუსთავი. 18 სექტემბერი. 16 საათი. ფოლადი

**ოლიმპი რუსთავი — მერანი თბილისი**

მსაჯები: ო. ხეცაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. ბერულავა; ვ. ელისაბედაშვილი

ბორჯომი. 18 სექტემბერი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ბათუმი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ს. სპიცინი; ა. ნონიკაშვილი

### D ჯგუფი

ზესტაფონი. 18 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

**ზესტაფონი — კახეთი თელავი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ნ. რუსიშვილი, კ. ბერაძე; კ. ჭაჭუა

ზუგდიდი. 18 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური

**მგლები ზუგდიდი — დილა გორი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ი. კაკაბაძე, ბ. ჭიჭინაძე; გ. დოგრაშვილი

# დაივიწყეთ ძველი და დაიწყეთ ახალი

**დღეს** საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპი იწყება, ოღონდ პირველი ტური ნაკლულმატჩიანი იქნება: თბილისის „დინამო“ დღეს ჩემპიონატის გადადებულ მატჩში „სიონს“ ხვდება, ამიტომ სათასო შეხვედრას ჭიათურის „მაღაროელთან“ 26 სექტემბერს გამართავს შინ.

შარშანდელი ჯგუფური ეტაპი თუ გახსოვთ, „ოლიმპი“ და „ვიტ ჯორჯია“ მეოთხედფინალში რომ ვერ გავიდნენ? რაღაც მსგავსი არც ახლა გამორიცხოთ — სათასო სპეციფიკას ხომ სიურპრიზები უყვარს.

თასის მფლობელი „ამერი“ პირველიგელ „ტორპედოს“ მასპინძლობს და ჩემპიონატში უგემური სტარტის მერე ოდნავ გულის მოფხანის საშუალება ეძლევა. ამავე ჯგუფში შედარებით ძნელად პროგნოზირებადი თამაში ახალციხეშია, სადაც უმაღლესი ლიგას ყოჩაღი დებიუტანტი „მესხეთი“ ცხინვალის „სპარტაკს“ უმასპინძლებს.

კარგი თამაში იქნება რუსთავში, სადაც „ოლიმპი“ „მერანს“ დაუხვდება. ანატოლი პისკოვეცის გუნდი ჩემპიონატის ცხრილის შუაშია. თბილისელებმა კი მიჯრით ოთხი მარცხის შემდეგ მოიგეს და კარგ განწყობაზე გადაერთვებიან თასზე. „ამერის“ მძლეველი „ბორჯომი“ კი ჩემპიონატის აუტსაიდერ „ბათუმს“ უმასპინძლებს.

ვაი, რა ტკბილია „ზესტაფონის“ გზა ფინალამდე და რა მწარეა ფინალში. ზედიზედ სამი ფინალის წაგების შემდეგ ფეროელები ვინძლო, ნავსის საბოლოო გატეხვას კბილებით ეცდებიან, ამ საქმის დაწყება კი დღეს „კახეთთან“ საშინაო მატჩით უნდა დაიწყონ. ამავე ჯგუფში „დილა“ „მგლებს“ ესტუმრება...

D ჯგუფში ერთადერთი მატჩია და ალბათ, ტურში ყველაზე საინტერესოც: „ვიტ ჯორჯია“ მცხეთაში „ლოკომოტივს“ ხვდება. ამათი მცხეთური შეხვედრა ჩემპიონატშიც ვნახეთ ერთი თვის წინ და ვიტელებმა 1:0 მოიგეს.

**ილია ნანობაშვილი**

# მოსკოვმა თანამეგობრობა სანკტ პეტერბურგს დაუთმო

**„თანამეგობრობის თასის“** მე-16 გათამაშება მოსკოვის ნაცვლად სანკტ პეტერბურგში ჩატარდება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის ფეხბურთის კავშირმა.

საქმე ისაა, რომ იანვარში მოსკოვი მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს ბურთიან ჰოკეიში და სპორტკომპლექსი „ოლიმპიისკიც“ დაკავებული იქნება.

ტურნირის რეგლამენტი უცვლელი რჩება: 16 გუნდი ჯგუფური ეტაპიდან დაიწყებს თასისთვის ბრძოლას და ამ თექვსმეტეულში იქნება საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპიც“.

ჯგუფური ეტაპის წილისყრა ოქტომბერში გაიმართება.

**ქახა შალამბერიძე**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — გადადებული მატჩი

თბილისი. 18 სექტემბერი. 16 საათი. ეროვნული

**დინამო — სიონი**

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, ლ. მიქელაძე, ზ. ახკაროლლი



სამწუხაროდ, უცხოეთში წასულ ყველა ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს არ უმართლებს, მეტიც ეს უკვე იშვიათობად იქცა. არ გაუმართლა ორი წლის წინ „თბილისიდან“ მოსკოვის „ტორპედოში“ გადასულ ნახევარმცველ ბექა ჟღენტსაც და ისევ საქართველოს ჩემპიონატში, თანაც არა რომელიმე ძლიერ გუნდში, არამედ „მერანში“ ჩამოვიდა, არადა, ჟღენტი 19 წლის იყო, „ტორპედომ“ თითქმის გაუსინჯავად რომ შეიძინა. დღეს ბექა კვლავ ითვლება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატად, მაგრამ ძველებურ ფორმამდე ბევრი უკლია. რა მოხდა „ტორპედოში“, რას აპირებს „მერანში“ თამაშის შემდეგ — ბექას ამაზე ველაპარაკეთ...

# საქართველოს ჩემპიონატი ფიქრის გორაა

— „ტორპედოში“ გატარებულ ორ წელიწადს დაკარგულად თვლი?

— არანაირად. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მერე მწვრთნელი აღარ მენდობოდა, უთამაშებელი დავრჩი და ფორმა დავკარგე. გუნდში თამაშობდნენ სემშოვი, ლაიზანსი, ზირიანოვი... მწვრთნელს შეეძლო, ნელ-ნელა მოეცა შანსი, მაგრამ არ გააკეთა.

**— ისე მოხდა, რომ „ტორპედოში“ ძირითადში თითქმის არ გითამაშია. დუბლებშიც არ ჩანდი ხშირად...**

— ძირითად გუნდში სულ შვიდი მატჩი ვითამაშე და ორი გოლიც გავიტანე. მერე კი ამითვალწუნეს: გუნდის ექიმმა არ მიმკურნალა, რაზეც შელაპარაკება მომივიდა და მან მწვრთნელს, ვიტალი პეტრენკოს უთხრა.

**— არ გიმკურნალა, რას ჰქვია?**

— ვარჯიშზე ტრავმა მივიღე, მივედი და ვუთხარი. მან კი, ხვალ მოდი, ახლა შენთვის არ მცალიაო.

**— სიტყვამ მოიტანა და, ქართველს რუსები ამრეზით ხომ არ გიყურებდნენ?**

— კი, იგრძნობოდა. შარშან სექტემბრიდან დაიძაბა ურთიერთობა. ქართველი რომ არ უყვართ, ეს ცხადად ჩანს.

**— „მერანში“ განათხოვრებით ხარ. „ტორპედოსთან“ კიდევ რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

— სამი წელი დამრჩა. შარშანწინ 3+2 გავაფორმე. მეგონა, ეს ორი წელი ჩემს სასარგებლოდ იყო, მაგრამ, პირიქით, „ტორპედოს“ სასარგებლოდ ყოფილა. მოვტყუვდი. ისე, კარგად გამომიშვეს კლუბიდან, სათამაშო პრაქტიკა გჭირდება და გაისად რომ ჩამოხვალ, შანსს მოგცემთო. „მერანში“ განათხოვრების ვადა გაისად 23 აგვისტოს მითავრდება.

**— შარშან ლატვიურ „მეტალურგსშიც“ იყავი გასინჯვაზე...**

— იმ დროს ჩაველი, როცა უკვე სეზონი იწყებოდა. ეს კიდევ არაფერი, მერე გავიგე, რომ „ტორპედო“ დიდ თანხას ითხოვდა იჯარაში.

**— საგაისოდ „ტორპედოში“ დამკვიდრების იმედი გაქვს?**

— „მერანში“ უნდა მოვმაგრდე და ღმერთის წყალობით, ტრავმა აღარ უნდა მივიღო. მუხლმა გამაწამა, თან ოპერაციაც არ სჭირდებოდა, ისეთი ტრავმა იყო და ვიყავი უვარჯიშებელი ამ გაუგებრობაში.

**— „ტორპედო“ სახელიანი გუნდია და ფინანსურადაც არ უჭირდა. რატომ გავარდა პრემიერლიგიდან?**

— ფინანსური მდგომარეობა ახლაც იგივეა, მაგრამ სატრანსფერო საქმიანობა ვერააწყვეს. სემშოვის გაყიდვამ დაასუსტა გუნდი, მერე სხვა ლიდერებიც წავიდნენ. ახლა კი, წარმოიდგინეთ, „ტორპედოში“ 14 ლეგიონერია, პირველ ლიგაში კი მხოლოდ სამს აქვს თამაშის უფლება. „ტორპედოს“ დუბლებშია გედევან დარასელია, რომელიც ადრე „თბილისში“ თამაშობდა. იქაა ირაკლი გეფერიძეც — ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელია და სამწუხაროა, რომ რუსეთის მოქალაქეა.

**— ორი წლის წინ თამაშობდი საქართველოს ჩემპიონატში და ახლაც აქ ხარ. როგორ შეადარებდი დონეს?**

— ჯერ ვერ გეტყვით. ისე, რუსეთიდან ჩამოსულს თვალში მხვდება დაბალი ტემპი. იქ სულ სხვა ფეხბურთია, ბევრი ბრძოლაა, აქ კი ბურთს რომ მიიღებ, ფიქრის დრო გაქვს.

**— რამდენიმე მაგალითი ყოფილა: ლეგიონერები ეროვნულ ჩემპიონატს რომ უბრუნდებიან, ვერ თამაშობენ...**

— მე ასე არ ვიქნები. 21 წლის ვარ და ყველას უნდა დავუმტკიცო, რომ ფეხბურთის თამაში შემიძლია. პირველ რიგში, ჩემს თავს უნდა დავუმტკიცო.

**— „მერანზე“ რას იტყვი, შეძლებთ უმაღლეს ლიგაში დარჩენას?**

— მონდომებულები ვართ, მაგრამ ბევრ მომენტს ვაფუჭებთ. წესით, არ უნდა გავვარდეთ.

**ილია ნანობაშვილი**

# ჭოხონელიძე დინამოში



**იტალიური** „მილანის“ ქართველი სელექციონერი რევაზ ჭოხონელიძე, რომელმაც საფეხბურთო ევროპაში სახელი ანდრეი შევჩენკოს და კახა კალაძის ტრანსფერების გაჩარხვით გაითქვა, კიევის „დინამოს“ გენერალურ მენეჯერად დაინიშნა. ამის თაობაზე გუშინ „დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა განაცხადა.

ჭოხონელიძე უკვე შეუდგა ახალ სამსახურში მუშაობას და, როგორც თავად განაცხადა, უკრაინულ გრანდში დიდი გეგმებით მივიდა.

**ქახა შალამბერიძე**

### დანია
სუპერლიგა. IX ტური

ნორდსიელანდი 3:1 ესბიერგი

### ნორვეგია
ტიპელიგა. XX ტური

ალესუნდი 3:2 სტრიომსგოდსეტი

### ირლანდია
პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

ბოჰემიანსი 0:2 შემროკი

### შვედეთი
ალსვენსკა. XXI ტური

იურგორდენი 1:1 ტრელებორგი

მალმიო 1:0 იორებრო

სუპერეტა. XXIV ტური

ატვიდაბერგი 0:0 მიალბი

დეგერფორსი 1:1 სილვია

სოდრა 2:3 ჰეკენი

ნორჩიოპინგი 1:0 ლანდსკრონა

სირიუსი 4:0 ფალკენბერგი

სუნდსვალი 4:0 ბანკეფლო

### იტალია
სერია C1/A. IV ტური

ჩიტადელა 1:2 პადოვა

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XX ტური

კტპ 2:2 ლაჰტი

### უნგრეთი
ბორსოდილიგა. VIII ტური

მტკ 2:2 დიორი

### ინგლისი
პრემიერლიგა. VI ტური

დერბი 1:0 ნიუკასლი

### პორტუგალია
სუპერლიგა. IV ტური

გიმარაეში 1:0 ნასიონალი

### გერმანია
II ბუნდესლიგა. V ტური

აუე 2:3 გლადბახი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. VI ტური

ნანტი 2:1 სედანი

### ჩეხეთი
გამბრინუსლიგა. VI ტური

პლზენი 1:1 ზლინი

### ჰოლანდია
I დივიზიონი. VIII ტური

აპელდორნი 4:3 ჰაარლემი

დენ ჰააგი 2:0 ჰელმონდი

დენ ბოსხი 1:1 ფორტუნა

ეინდჰოვენი 2:6 ვოლენდამი

ალმერე 1:2 კამბური

იგლსი 2:0 ვალვაიკი

მაასტრიხტი 2:2 ოსი

როზენდალი 2:1 ზვოლე

ტელსტარი 0:1 ემენი

ვეენდამი 2:1 დორდრეხტი

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა · I წრე. 5 ტური

# ფეხბურთში რაიონები შემოიჭრნენ



ზუგდიდის „მგლები"

**ახალციხეს** უმაღლეს ლიგაში გუნდი არასოდეს ჰყოლია და ზუგდიდიც კარგახანს მონატრებული იყო.

აი, ორივემ შემოაბიჯა ზედა ეშელონში, მეტიც, შემოიჭრა. „მესხეთი" მესამე ადგილზეა, „მგლები" კი — მეხუთეზე. ჯამში მათ უკვე 19 ქულას უწიეს, თანაც თამაშითაც ამტკიცებენ, რომ იქ არიან, სადაც უნდა იყვნენ.

ახალციხელებმა ჩემპიონ „ოლიმპს" რუსთავში ქულა დასტყუეს, ზუგდიდელებმა კი „ლოკომოტივის" „მიხეილ მესხზე" იმარჯვეს და რაც ასევე სასიამოვნოა — შინ ხომ არ აკლიათ გულშემატკივარი და სტუმრადაც 10-20-კაციანი ჯგუფები დაჰყვებათ.

გამოცოცხლდა რაიონები და ეს ძალიან მნიშვნელოვანია...

# იგებს ის, ვინც მზადაა

ისეთი ტური იყო, მატჩების უმეტესობა სტუმრებს უნდა მოეგოთ, რაკილა ჩემპიონობაზე მოფიქრალი გუნდებიდან თითქმის ყველა გასვლაზე თამაშობდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: ვინც შინ იყო, იმანაც კი ვერ იმარჯვა — ჩემპიონმა „ოლიმპმა" გასალები ვერ უპოვნა ყოჩაღ დებიუტანტ „მესხეთის" კარს, „ვიტ ჯორჯია" და „ამერი" კი ცარიელ-ტარიელები ჩამოვიდნენ რაიონებიდან. მოკლედ, მსუყე სენსაციები იქით და, ერთი-ორი ისეთი გოლიც გამოერია ამ ტურში, ჩემპიონთა ლიგასაც რომ დაამშვენებდა...

ოლიმპი 0:0 მესხეთი
სიონი 3:1 ვიტ ჯორჯია
დილა 1:2 ზესტაფონი
ლოკომოტივი 0:1 მგლები
ბორჯომი 3:0 ამერი
მერანი 2:1 ბათუმი
სპარტაკი 0:3 დინამო



რა სჭირს „ამერს"?

# ამერი კრიზისს არ ეშვება

**ზოგადად,** ქვეყნის ჩემპიონატის დონეს ევროტურნირები განსაზღვრავს და ბოლო ორი წელიწადია, „ამერი" საქართველოში, უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესოა ევროსაზომით, მაგრამ რას ჰგავს ეს გუნდი ბოლო დროს? პოლონურ „ბელხატუვთან" საუეფასთასო მატჩების დამთავრება და გლდანელთა მოდუნება ერთი იყო.

ეს არის კონცენტრაციის დაკარგვა და მეტი არაფერი, არავითარი თავის ტკივილი ამ კითხვის პასუხს არ სჭირდება...

5 მატჩში 3 წაგება და 8 გაშვებული ბურთი — მეტისმეტია საჩემპიონოდ შემართული გუნდისთვის და „ამერი" დროულად უნდა მოეგოს გონს.

გლდანელების კრიზისი ვერც სანაკრებო პაუზამ შეაჩერა — გიორგი ჩიხრაძის გუნდი ბორჯომში 0:3 განადგურდა.

# ილიას ბლიც-კრიგი

**წინა** ჩემპიონატში ამერელმა დიმიტრი ტატანაშვილმა თითქმის ყველა გოლი შეცვლაზე შესულმა გაიტანა, თანაც, მე თქვენ გეტყვით, ცოტა იკმარა? გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ჩვენი ჩემპიონატის ახალ ტატანაშვილად კი თბილისის „დინამოს" ფორვარდი ილია სპასოევიჩი ყალიბდება. 19 წლის ჩერნიგორიელმა ზედიზედ მესამე მატჩში გაიტანა, თანაც ეს ბიჭი მე-60 წუთამდე დუშან უჰრინს შეცვლაზე არ შეჰყავს. მერე კი „სპასოს" შესვლა და გოლი ერთია...



**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 3 - | ილანაიძე | ზესტაფონი |
| | ვიეირა | ზესტაფონი |
| | ჭელიძე | ზესტაფონი |
| | გაიდარაშვილი | მესხეთი |
| | სპასოევიჩი | დინამო |
| | შ. ჯიქია | ბორჯომი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | 13 |
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| მესხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 10 |
| მგლები | 5 | 3 | 0 | 2 | 4:3 | 9 |
| ბორჯომი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 |
| სიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | 7 |
| ამერი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:8 | 6 |
| სპარტაკი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | 5 |
| დილა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | 3 |
| მერანი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:7 | 3 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:11 | 3 |
| ბათუმი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:6 | 1 |

**მეექვსე ტური**

22 სექტემბერი, შაბათი
ზესტაფონი – ოლიმპი
ლოკომოტივი – დილა
ბათუმი – სპარტაკი

23 სექტემბერი, კვირა
მგლები – დინამო
ამერი – მერანი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი
მესხეთი – სიონი






# ტოპმიოლერი ქორწილიდან ჭაბუკებთან

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრები 23 სექტემბრიდან ევროპის 2008 წლის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. ტურნირი ბულგარეთში გაიმართება და ჩვენიანთა მეტოქეები მასპინძელთა გარდა, ხორვატი და უნგრელი თანატოლები იქნებიან.

ამ შესარჩევისთვის ჰერბერტ ცანკერის გუნდი პორტუგალიაში ემზადება, სადაც ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

პირინეიზე ცანკერმა გუნდი უკვე ორჯერ ავარჯიშა, უფრო სწორად, გუშინწინ ერთხელ, გუშინ კი გუნდს ორჯერადი ვარჯიში ჰქონდა.

პორტუგალიაში გუშინვე ჩავიდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი, რომელიც ორივე ამხანაგურ მატჩს დაესწრება.

ტოპმიოლერი 17-წლამდელებს ბულგარეთში შესარჩევ მატჩებზე არ გაჰყვება: იგი საქართველო — რუმინეთის 19-წლამდელთა მატჩებს დაესწრება რუმინეთში. 17-წლამდელთა შესარჩევ მატჩებს კი მისი თანაშემწე რალფ მინგე და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი დააკვირდებიან.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიასთან პირველ ამხანაგურ მატჩს ქალაქ კარტაშოში დღეს გამართავს. მეორე მატჩი კი 20 სექტემბერს გაიმართება.

და ერთიც: კვირას თბილისში ქორწილი იყო — გერმანელი ტელეჟურნალისტი რენე ჰიპინი ქართველ გოგონაზე დაქორწინდა. რენეს მეჯვარე კლაუს ტოპმიოლერი იყო...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველოს ჩემპიონატი. მეორე ლიგა
## პირველი წრე

**პირველი ტური**

აღმოსავლეთი
სიონი 2 1:1 გარეჯი
ოლიმპი 3 5:1 ბახტრიონი
კახეთი 2 1:1 მაუდი
ძიზიყი 1:0 ზოოვეტი
სამგორი 4:0 დურუჯი
ჰერეთი 0:0 ალგეთი

ცენტრალური
მესხეთი-აწყური 2 5:2 მერანი 2
სპარტაკი (თბ) 2:4 ლოკომოტივი 2
ორბი 5:1 ლიახვი
35-ე სს 6:3 დუშეთი
ნ. დინამოელი 2 2:0 გაგრა 2
სპარტაკი 2 (ცხ) 4:1 ბორჯომი 2

დასავლეთი
მარგვეთი 3:2 იმერეთი
მაღაროელი 2 1:0 იბერია XXI
მარტვილი 2 4:0 ბათუმი 2
მერცხალი 0:1 გურია
სქური 2:1 გაგრა 3
ბაია — ტორპედო 2 გადაიდო

# რა ხდება, მალხაზ? რუსული გამოცანა: კარგად თამაშობს და კარგად ჩხუბობს. ვინ არის? ასათიანი!










**რუსეთის** ჩემპიონატში სანაკრებო თამაშებით გამოწვეულ პაუზას სათასოც დაემთხვა და გუნდებმა უქმად ყოფნას ერთმანეთში ამხანაგურად გაჯიბრება ამჯობინეს. ერთ-ერთ ასეთ მატჩს „ლოკომოტივსა“ და „დინამოს“ (2:1) შორის ამხანაგურს ნამდვილად ვერ დავარქმევთ — ლოკომოტიველმა მალხაზ ასათიანმა და დინამოელმა დანიმ ხელდახელ იჩხუბეს.

68-ე წუთზე ასათიანი ხისტად, თუმცა წესების დაცვით ეთამაშა „დინამოს“ პორტუგალიელ ლეგიონერ დანის, რომელიც ქართველს მივარდა. დანის დინამოელთა კიდევ ერთი ლეგიონერი სისერუ მიეხმარა, რომელიც ასათიანს უკნიდან მიეპარა და კისერში მოუჭირა ხელი. ქართველის დახმარება მხოლოდ რომან კონცედალოვმა მოიფიქრა, მეორე თანაგუნდელი, ამას წინათ ასათიანთან ნაჩხუბარი სერბი ბრანისლავ ივანოვიჩი კი სათადარიგოთა სკამიდან ღიმილით ადევნებდა თვალს ამ ეპიზოდს.

მსაჯმა ფეხბურთელები დააშოშმინა, თუმცა არც ერთი არ გაუძევებია და კონფლიქტს გაგრძელებაც მოჰყვა — ათიოდ წუთში ასათიანმა უკვე წესების დარღვევით დააგდო მოედანზე დანი, რომელიც ცდილობდა, ისევ გაქაჩულიყო ქართველისკენ, მაგრამ წამოდგომას ველარ ახერხებდა. სამაგიეროდ, ასკას დინამოელთა კაპიტანმა დმიტრი ხოხლოვმა მოუწოდა დამშვიდებისკენ.

ეტყობა, დანის ისევ სურდა, ქართველისთვის სამაგიეროს გადახდა, რადგან თამაში კოჭლობით გააგრძელა და არაფრისდიდებით არ დატოვა მოედანი...

ნამატჩევს ამ ამბავს ასეთი გამოხმაურება მოჰყვა:

„ასათიანს არ მოეწონა, რომ მას ვატყუებდი და ფეხი დამიჭირა, რასაც მცირე გაწევ-გამოწევა მოჰყვა. მე პატარა ბიჭი არ ვარ, ვისაც შეიძლება დასცინონ, მით უფრო, რომ თამაშის სანახავად ჩემი ოჯახი იყო მოსული. საერთოდ, ჩხუბის დაწყება სწორად არ მიმაჩნია, ეს ფეხბურთელის რეპუტაციას არ ამაღლებს, მაგრამ იმ მომენტში ძალიან ავღელდი“ — განაცხადა დანიმ.

ასათიანი თანაგუნდელთაგან პიტერ ოდემვინჯიმ დაიცვა: „მართალია, ასათიანმა მეტოქე წააქცია, მაგრამ დინამოელმა ხომ მას იდაყვი ჩაარტყა... მალხაზი ცხელსისხლიანი ბიჭია და სათანადოდაც უპასუხა“.

„თავიდან უხეშად დანი მეთამაშა, რაზეც პასუხი გავეცი. ტრავმა აქვს? არ ვიცი, ჩემი მხრიდან განზრახ უხეშობას ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ სათამაშო ეპიზოდი იყო“ — ეს სიტყვები კი ასათიანს ეკუთვნის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დარასელიამ დაჩიას საქართველო აუწონა

ვიტალი დარასელია მოლდოვის ჩემპიონატშია: „დაჩია“ — „დინამოს“ მატჩში შეცვლაზე შევიდა და მალევე გოლიც გაიტანა. ვიტალი მოლდოველ ჟურნალისტთან საუბარში ქვეყნის ჩემპიონობაზე ლაპარაკობს, ბოლოს კი თბილისის „დინამოსაც“ იხსენებს. ისე, ჩვენი მოლდოველი კოლეგა რომ მაინცდამაინც ვერ „აბულბულებს“ დარასელიას კარიერას, ესეც ჩანს...



— როგორ შეეგუეთ მოლდოვის ჩემპიონატს?

— თავადაც ნახეთ, გოლი გავიტანე. ისე, ერთი თვეა, არ მივარჯიშია, ასე რომ, ახლა ვკრეფ ფორმას.

— რომელ ადგილზე იქნებოდა „დაჩია“ რუსეთის ან საქართველოს ჩემპიონატში?

— საქართველოში, ალბათ, მეხუთე ან მეოთხე ადგილს დაიკავებდა... იქნებ მესამეზეც გასულიყო, ან სულაც ჩემპიონი გამხდარიყო. რუსეთში კი გაუძნელდებოდა, ასე მეათე-მეთერთმეტე იქნებოდა.

— რუსეთის პირველ დივიზიონს გულისხმობ?

— რა თქმა უნდა, არა. პრემიერლიგას ვგულისხმობ.

— თვითონ მოლდოვაში რას შეიძლება მიაღწიოს „დაჩიამ“?

— მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობთ.

— კონკურენტებზე არაფერი გსმენიათ? „შერიფი“, „ნისტრუ, „ზიმბრუ“...

— დიახ, „შერიფთან“ ნათამაშებიც მაქვს მოსკოვში, თანამეგობრობის თასზე.

— მაშინ რომელ გუნდში იყავით?

— თბილისის „დინამოში“. მაგარი გუნდი გვყავდა, ჩემპიონებიც გავხდით.



საქართველო — უკრაინის მატჩისწინა ვარჯიშზე ზაალ ელიავამ ტრავმა მიიღო და უკრაინელებთან თამაში ველარ შეძლო. არადა, ვარჯიშისას ელიავასა და გიორგი დემეტრაძის კონტრაქტი თითქოს საშიში არ უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც შემდგომ გამოჩნდა, ამ ტრავმამ ელიავა კარგა ხნით ჩამოაშორა ფეხბურთს. ამბის გასარკვევად სკონტოელ ქართველს გუშინ ლატვიაში შევეხმიანეთ...

# ელიავას ორი თვე ქრონიკული ტრავმა ოპერაციას ითხოვს

— ტკივილები იმდენად არ მაწუხებს, რამდენადაც ის, რომ ოპერაცია უნდა გავიკეთო.

— ქირურგიული ჩარევა აუცილებელია?

— უკვე მეორედ ამომივარდა მხარი და ქრონიკულშია გადაზრდილი. შეიძლება ერთ ან ორ თამაშში არაფერი მოხდეს, მაგრამ მესამეში ისევ ამომივარდეს. ამიტომ დაზღვეული რომ ვიყო, ოპერაციას გავიკეთებ.

— როდის აპირებ?

— სავარაუდოდ, თვის ბოლოს. მანამდე კარგად უნდა მოშუშდეს მხარი და ქირურგიული ჩარევა ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

— ექიმები რას ამბობენ, ოპერაციის შემდეგ რამდენ ხანში შეძლებ თამაშს?

— ექვს კვირაში.

— ნაკრებში მიღებული ტრავმის გამო კლუბის ხელმძღვანელობას უკმაყოფილება ხომ არ გამოუთქვამს?

— არანაირი პრეტენზია არ ჰქონიათ, თუმცა კმაყოფილნი ნამდვილად ვერ იქნებიან, თითქმის ორი თვე გუნდს ვერ დავეხმარები.

— ზაფხულში კლუბის გამოცვლაზე იყო საუბარი, რაიმე სიახლე ხომ არ არის?

— რაც ზაფხულში არ მოხდა, ზამთარში შესაძლებელია, თუმც არ ვიცი, ეს ტრავმა რამდენად შემიშლის ხელს. ორთვიანი უთამაშებლობა ფეხბურთელისთვის ბევრია. ფორმის აღდგენასაც დრო უნდა. დეკემბრისთვის ალბათ ყველაფერი გაირკვევა.

— უკრაინასთან მატჩი ტრიბუნიდან ნახე. რა შთაბეჭდილება დაგრჩა თამაშზე?

— მოდით, ხარისხზე ნუ ვილაპარაკებთ, მთავარია, შედეგი ვაჩვენეთ. ყოფილა შემთხვევები, კარგად გვითამაშია და წაგვიგია, უკრაინასთან ქულა მაინც ავიღეთ. კარგია, თუ ხარისხი და შედეგი ერთად იქნება, მაგრამ მირჩევნია, შედეგი გვქონდეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რევიშვილი ჯანმრთელია

**საქართველოს** ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილს აზერბაიჯანის ნაკრებთან მატჩამდე ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. იგი ეროვნულს დაშორდა და თავის კლუბ „რუბინს“ მიაშურა. როგორც ჩანს, ტრავმა საშიში არ აღმოჩნდა, ჩვენებური მალე განიკურნა და გუშინწინ ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა.

ამხანაგურად კი „რუბინი“ სამარის „კრილია სოვეტოვს“ გაეჯიბრა (2:2). ვოლგისპირულ დერბიში სამივე ქართველი მონაწილეობდა — ყაზანელები რევიშვილი და ლაშა სალუქვაძე მეორე ტაიმში შევიდნენ, სამარელმა დავით მუჯირმა კი საწყისი 68 წუთი ითამაშა.

საინტერესოა, რომ პირველ ტაიმს სამარელები 2:0-ს იგებდნენ...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიმბოლური ამბავი: კვირკველია აგრესიულია

**საქართველოს** ნაკრებიდან დათხოვნილი დავით კვირკველია ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ბოლო მატჩში „ვორსკლას“ წინააღმდეგ ძალიან აქტიურობდა და გუნდმაც ამით იხეირა — ზაპოროჟიელებმა გამთანაბრებელი მისი პასის შედეგად გაიტანეს.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „ვორსკლას“ მწვრთნელმა ანატოლი მომოტმა განაცხადა: „მეორე ტაიმში კვირკველია უფრო აგრესიული გახდა და ძალიან გაგვიჭირდა, გოლიც ლოგიკური მივიღეთ და შედეგიც“.

კვირკველიას კარგი თამაში არც სხვებს გამორჩენიათ და football-ის გამოკითხვით, ჩვენებური ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

აღსანიშნავია, რომ კვირკველია უკრაინაში მოთამაშე ქართველთაგან ამ სეზონში მეორეა, ვისაც ეს პატივი ერგო — პირველად სიმბოლურში ზაკარპატიელი კახა აღლაძე მოხვდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დღეს

## A ჯგუფი

**მარსელი — ბეშიქთაში**

**პორტუ — ლივერპული**

# ბენიტესმა თორმეტამდე დათვალა

„დაახლოებით 12 ქულა გვჭირდება ჯგუფიდან გასასვლელად — თქვა რაფაელ ბენიტესმა — ზოგჯერ ნაკლებიც საკმარისია, მაგრამ მინდა, რომ დარწმუნებული ვიყო და ამიტომ ვამბობ, ათს თორმეტი სჯობს. „პორტუს" ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს, განსაკუთრებით კი ნახევარდაცვაა ძლიერი, თან „დრაგაუზე" თამაში რთულია იქაური ატმოსფეროს გამო".

„ლივერპული" შაბათს „პორტსმუთს" უგოლოდ დაუზავდა. ძირითად შემადგენლობაში არ იყვნენ ფერნანდო ტორესი და სტივენ ჯერარდი, რომლებიც შეცვლაზე შევიდნენ. დირკ კუიტს და რაიან ბაბელს საერთოდ არ უთამაშიათ. ესენი მწვრთნელმა „პორტუსთვის" შემოინახა. უცნაურია, რომ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მეგოლეს, ფერნანდო ტორესს, ჩემპიონთა ლიგაში არასოდეს უთამაშია. მადრიდის „ატლეტიკოში" ამის შანსი არ ჰქონდა და ალბათ ამიტომაც არჩია „ლივერპული". დღეს ესპანელი ფორვარდის დებიუტი შედგება.

„ყველას უნდა ჩემპიონთა ლიგაში დიდ კლუბებთან შეჯიბრი — თქვა ტორესმა — „ლივერპულში" ფულის გამო არ მოვსულვარ. ჯილდოების მოგება მსურს და, დარწმუნებული ვარ, შევძლებ."

„პორტუმ" გასულ უქმეებზე „მარიტიმუს" 1:0 სძლია და ჩემპიონატის ლიდერი გახდა. გოლი ლოპესმა მეორე ტაიმში გაიტანა.

ბოლო ცხრა ევრომატჩში „პორტუს" შინ ინგლისურ კლუბებთან არ წაუგია. „ლივერპულს" 2001-ში უეფას თასზე შეხვდა და „დრაგაუზე" 0:0 ითამაშა.

პორტუგალიელთა ნახევარმცველმა რიკარდუ კვარესმამ განაცხადა: „ზაფხულში ბევრი დიდი კლუბი მეპატიჟებოდა, მაგრამ მინდა, რომ „პორტუს" მაისურით მოვიგო ჩემპიონთა ლიგა. გუნდმა ეს 2004-ში მოახერხა და კიდევ უნდა ვცადოთ."

„ლივერპულს" ტრავმების გამო რიისე და სისოკო დააკლდებიან.

„მარსელი", რომელიც უცუდეს ფორმაშია, „ბეშიქთაშს" უმასპინძლებს. გასულ უქმეებზე შინ „ტულუზთან" 1:2 დამარცხდნენ, ვისთანაც „ველოდრომზე" 45 წლის განმავლობაში არ წაეგოთ. „მარსელმა" რვა ტურში შვიდი ქულა მოაგროვა და მეთხუთმეტეა. ალბერ ემონის გუნდი იმის აჩრდილს ჰგავს, წინა სეზონში რომ მეორე ადგილზე გავიდა. თუმც მაშინ ფრანკ რიბერი ჰყავდათ და სულ სხვა გუნდი იყო.

„მარსელის" პრეზიდენტი პაპე დიუფი ამბობს, რომ „ბეშიქთაშთან" მოგებით ალმასვლა უნდა დაიწყოს: „ცუდად დაწყებული სეზონის გამო ფეხბურთელები წნეხის ქვეშ არიან, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა სხვა შეჯიბრია და მჯერა, ქომაგები განსაკუთრებულად დაგვიჭერენ მხარს."

„ბეშიქთაში" ჩემპიონატში მეორე საფეხურზეა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## B ჯგუფი

**ჩელსი — რუსენბორგი**

**შალკე — ვალენსია**

# ნაბიჯი წინ

**ბოლო** ოთხ სეზონში „ჩელსი" სამჯერ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში და სამჯერვე წააგო. „ლურჯების" კაპიტანი ჯონ ტერი ამბობს, რომ ამჯერად საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანონ და თასი მოიგონ: „მთელ გუნდს ძალიან სწყურია ჩემპიონთა თასი. უკვე მერამდენე წელია, ამ ჯილდოსკენ მივდივართ და ჩვენი დრო მოვიდა".

კაპიტანს კვერი დაუკრა მწვრთნელმაც.

„ნახევარფინალში სამჯერ გასვლა იმის დასტურია, რომ ყოველწლიურად სტაბილურად კარგად ვთამაშობთ და ფინალამდე ნაბიჯილა გვაკლია. გუნდმა ინგლისში ყველა ჯილდო მოიგო და ახლა ეს ნაბიჯი უნდა გადავდგათ — თქვა ჟოზე მაურინიუმ — „ჩელსის" ყველა ტურნირში გამარჯვება სურს, მაგრამ ეს ძალიან, ძალიან ძნელია. განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგაში, სადაც ორმატჩიანი დუელებია და ბევრ რამეს წვრილმანი წყვეტს".

„ჩელსიმ" ბოლო ორ ტურში ერთი ქულა აიღო და ახლა მეხუთე ადგილზეა. მაურინიუს შეგირდებმა „ასტონ ვილასთან" 0:2 წააგეს, „ბლექბერნს" კი უგოლოდ დაუზავდნენ.

დიდიე დროგბა და კლაუდიო პიზარო ტრავმირებულნი არიან და ძირითად შემადგენლობაში ანდრეი შევჩენკო იქნება. ფრენკ ლამპარდი მომჯობინდა და „რუსენბორგთან" ალბათ ითამაშებს. „რუსენბორგის" მთავარი ნახევარმცველი როარ სტრანდი დაშავებულია.

ნორვეგიული კლუბი „ჩელსის" ლიგაში არასოდეს შეხვედრია. აღსანიშნავია, რომ მაურინიუს გუნდმა ბოლო 11 სალიგო მატჩში მხოლოდ სამი გოლი გაუშვა.

„შალკე" მესამედ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში. 2001-ში და 2005-ში „ხუმარები" ჯგუფში ჩარჩნენ. მირკო სლომკა ამ ბარიერის გადალახვას და გუნდის მერვედფინალში გაყვანას გეგმავს.

„რთული ჯგუფია, რადგან წინა გათამაშების ორ მეოთხედფინალისტთან („ჩელსი" და „ვალენსია") შეჯიბრი მოგვიწევს, მაგრამ მათაც უნდა იცოდნენ, რომ იოლად ვერ მოგვიგებენ და, ვფიქრობ, ჩვენს წინააღმდეგ დაცვით ფეხბურთს ითამაშებენ. გვინდა, რომ მერვედფინალში გავიდეთ, მაგრამ მთავარია, ყოველწლიურად მოვხვდეთ ჩემპიონთა ლიგაში.

**ვაჟა ხუციშვილი**

## C ჯგუფი

**რეალი — ვერდერი**

**ოლიმპიაკოსი — ლაციო**

# მოსალოდნელი სიცხე

**მადრიდის** „რეალის" მცველ ფაბიო კანავაროს აზრით, „ვერდერს" „სანტიაგო ბერნაბეუზე" ძალიან დასცხება.

ესპანეთის ჩემპიონი საუცხოო ფორმაშია და კანავაროს მუქარაც გასაგებია. ბერნდ შუსტერის ხელში გუნდმა ჩემპიონატის დასაწყისში მიჯრით სამი მატჩი მოიგო, რასაც ბოლო 16 წლის განმავლობაში ვერ ახერხებდა.

„ჩემპიონთა ლიგაც ისევე უნდა დავიწყოთ, როგორც პრიმერადივიზიონი — თქვა ფაბიო კანავარომ — სეზონის წინ ბევრს გვაკრიტიკებდნენ. ხალხი ამბობდა, რომ ცუდი გუნდი ვართ და საშინლად ვთამაშობთ, მაგრამ ჩვენ სამი მოგებით კრიტიკოსებს ვუპასუხეთ".

ჩემპიონთა თასის ცხრაგზის მფლობელი დღეს ამ შეჯიბრში საიუბილეო, მე-300 მატჩს ითამაშებს. ბოლო სამ სეზონში ლიგის პირველი მატჩებში „რეალი" დამარცხდა, თუმც გერმანულ კლუბებთან 21 შეხვედრაში შინ მხოლოდ ორჯერ წააგო.

გასულ უქმეებზე „ალმერიასთან" რუუდ ვან ნისტელროის არ უთამაშია, რადგან მწვრთნელმა „ვერდერისთვის" დაასვენა, ხოლო უესლი სნეიდერმა კვლავ გაილაღა და მესამე მატჩში მეოთხე გოლი შეაგდო. გაბრიელ ჰაინცე დაშავდა და შეცვალეს. დღეს ალბათ ვერ ითამაშებს.

„ვერდერი" კი ბუნდესლიგაში „დორტმუნდთან" 0:3 დამარცხდა და შვიდი ქულით მეცამეტე ადგილზეა. გუნდს ბევრი ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული და სეზონი ცუდად ამიტომაც დაიწყო.

„ისე თუ ვითამაშეთ, როგორც „დორტმუნდთან", კიდევ ერთ ალიყურს მივიღებთ" — თქვა „ვერდერის" მენეჯერმა კლაუს ალოფსმა. სტუმრებს არ ეყოლებათ ტიმ ბოროვსკი და ტორსტენ ფრინგსი. დიეგო დორტმუნდში დაშავდა და მეორე ტაიმში შეცვალეს, თუმც სადღეისოდ მზად იქნება.

„ვერდერზე" არანაკლები პრობლემები აქვს „ლაციოს", რადგან მათაც ბევრი ფეხბურთელი დაუშავდათ ამ ზაფხულს და სერია A-ში ჯერ თამაში არ მოუგიათ.

მიუხედავად ამისა, რომაელთა მთავარი მწვრთნელი დელიო როსი იმედიანადაა: „უმძიმესი მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ მოსაგებად მოვდივართ. ჩემი გუნდი ვერ ბრწყინავს, თუმცა მებრძოლი სული არ დაეწუნება".

**ვაჟა ხუციშვილი**

## D ჯგუფი

**მილანი — ბენფიკა**

**შახტარი — სელტიკი**

# დიდებული დიდა

**„მილანის"** მწვრთნელი კარლო ანჩელოტი დარწმუნებულია, რომ გუნდი მალე თამაშს გააუმჯობესებს. ჩემპიონთა თასის მფლობელი სერია A-ში „ფიორენტინას" და „სიენას" დაუზავდა, დღეს კი „ბენფიკას" და ყოფილ ფეხბურთელ რუი კოშტას უმასპინძლებს.

„სიენასთან" „მილანი" აგებდა და ალესანდრო ნესტამ 90-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში.

„სანერვიულო არაფერია — თქვა ანჩელოტიმ — შეიძლება კარგად ვერ ვთამაშობთ, მაგრამ გუნდი აუცილებლად მოუმატებს. ამას „ბენფიკასთან" ნახავთ".

„მილანს" არ ეყოლება ტრავმირებული რონალდო, რომელიც ალბათ ოქტომბრისთვის გამოკეთდება — დაშავებულია 39 წლის პაოლო მალდინიც და კაპიტანი ამ თვის ბოლოსთვის ჩადგება ფორმაში.

სიენაში ანჩელოტიმ კაკა არ ათამაშა და „ბენფიკასთვის" დასვენების საშუალება მისცა.

ლისაბონელებმა სეზონი მძიმედ დაიწყეს, მაგრამ მწვრთნელად ხოსე ანტონიო კამაჩოს დანიშვნის შემდეგ გასულ უქმეებზე „ნავალს" მოუგეს და ერთი გოლი რუი კოშტამ გაიტანა.

„არწივებს" ჩემპიონატში ოთხი ტურის შემდეგ არ წაუგიათ და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს.

— „სან სიროზე" მეგობრების წინააღმდეგ თამაში მომიწევს — თქვა რუი კოშტამ, ვინც „მილანში" ხუთი სეზონი გაატარა და ჩემპიონთა თასი მოიგო — ეს განსაკუთრებული მატჩი იქნება ჩემთვის".

ფილიპო ინძაგიმ კი განაცხადა, რომ „სიენასთან" მარცხი უნდა დაივიწყონ და ლიგაზე გადაერთონ:

„აქ, „მილანში", წარსულზე კი არა, მომავალზე უნდა იფიქრო. ჩვენი მიზანი კვლავაც ლიგის მოგებაა, რადგან ამ შეჯიბრში ყველაფერი განსაკუთრებულია. მართალია, „სიენასთან" მატჩში დიდას შეცდომის გამო გაგვიტანეს, მაგრამ ვის არ მოსვლია? ჩვენ შეცდომების გამოსწორებაზე უნდა ვიზრუნოთ. დიდა „ბენფიკასთან" დიდებულად ითამაშებს".

გლაზგოს „სელტიკი" კვირას ჩავიდა დონეცკში და იქ მოემზადა „შახტართან" მატჩისთვის.

შოტლანდიელთა მეკარე არტურ ბორუცმა განაცხადა: „წინა სეზონში მერვედფინალში დავმარცხდით და ახლა ქომაგები მეტს ელიან. საამისოდ ჯერ ჯგუფიდან უნდა გავიდეთ და სტუმრად ქულების აღებაა საჭირო. აქამდე ძალიან გვიჭირდა გასვლით მატჩებში, თუმც ვითარება ნელ-ნელა ჩვენდა სასიკეთოდ იცვლება".

სელტიკელმა ნახევარმცველმა პოლ ჰარტლიმ თქვა: „შახტარი" ჩემპიონატში ლიდერობს და ამ ზაფხულს 43 მილიონი ევრო დახარჯა. ამდენად, ცხადია, რომ ძლიერი გუნდია და რთული მატჩი გველის".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დღეს

## A ჯგუფი

**ლივერპული** ინგლისი
**პორტუ** პორტუგალია
**მარსელი** საფრანგეთი
**ბეშიქთაში** თურქეთი

I ტური. 18.09.07
მარსელი – ბეშიქთაში
პორტუ – ლივერპული
II ტური. 03.10.07
ლივერპული – მარსელი
ბეშიქთაში – პორტუ
III ტური. 24.10.07
ბეშიქთაში – ლივერპული
მარსელი – პორტუ

IV ტური. 06.11.07
ლივერპული – ბეშიქთაში
პორტუ – მარსელი
V ტური. 28.11.07
ბეშიქთაში – მარსელი
ლივერპული – პორტუ
VI ტური. 11.12.07
მარსელი – ლივერპული
პორტუ – ბეშიქთაში

### ლივერპული (ინგლისი)

**მეკარეები**
25 ------ პეპე რეინა
30 ------ შარლ იტანჟე
40 ------ დევიდ მარტინი

**მცველები**
3 ------ სტივ ფინანი
4 ------ სემი ჰიპია
5 ------ დანიელ აგერი
6 ------ იონ არნე რიისე
12 ------ ფაბიო აურელიო
17 ------ ალვარო არბელოა
23 ------ ჯეიმი კარაგერი
39 ------ სტეფან დერბი

**ნახევარმცველები**
7 ------ ჰარი კიუელი
8 ------ სტივენ ჯერარდი
11 ------ იოსი ბენაიუნი
14 ------ ხაბი ალონსო
16 ------ ჯერმენ პენანტი
20 ------ ხავიერ მასკერანო
21 ------ ლუკას ლეივა
22 ------ მოჰამედ სისოკო
33 ------ სებასტიან ლეტო

**თავდამსხმელები**
9 ------ ფერნანდო ტორესი
10 ------ ანდრეი ვორონინი
15 ------ პიტერ კრაუჩი
18 ------ დირკ კუიტი
19 ------ რაიან ბაბელი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

### პორტუ (პორტუგალია)

**მეკარეები**
1 ------ ელტონი
24 ------ უგო ვენტურა
33 ------ ნუნუ

**მცველები**
2 ------ ბრუნო ალვეში
3 ------ პედრო ემანუელი
4 ------ მილან სტეპანოვი
5 ------ მარეკ ჩეხი
12 ------ ბოსინგვა
13 ------ ფუსილე
14 ------ ჟოაო პაულუ
15 ------ ლინუ

**ნახევარმცველები**
6 ------ პაულო ასუნსაო
7 ------ რიკარდო კვარესმა
8 ------ ლუჩო გონსალესი
11 ------ მარიანო გონსალესი
16 ------ რაულ მეირლესი
17 ------ ტარიკ სეკტიუ
18 ------ მარიო ბოლატი
20 ------ ლეანდრო ლიმა
25 ------ რჟემისლავ კაჟმიერჩაკი

**თავდამსხმელები**
9 ------ ლისანდრო ლოპესი
19 ------ ერნესტო ფარიასი
23 ------ ელდერ პოსტიგა
28 ------ ადრიანო
29 ------ ედგარი

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

### მარსელი (საფრანგეთი)

**მეკარეები**
1 ------ სედრიკ კარასო
16 ------ სებასტიან ჰამელი
30 ------ სტივ მანდანდა
40 ------ სებასტიან მატე

**მცველები**
3 ------ ტაიე ტაივუ
4 ------ ჟულიენ როდრიგესი
5 ------ ჟაკ ფატი
15 ------ რონალდ ზუბარი
24 ------ ლორენ ბონარი
32 ------ გაელ გივე

**ნახევარმცველები**
6 ------ კარიმ ზიანი
7 ------ ბენუა შეირუ
8 ------ ვილსონ ორუმა
17 ------ მოდესტო მბამი
18 ------ ვინსენ გრანი
19 ------ ლორიკ კანა
22 ------ სამირ ნასრი
28 ------ მეტიუ ვალბუენა

**თავდამსხმელები**
9 ------ ჯიბრილ სისე
10 ------ ბუდევეინ ზენდენი
11 ------ მამადუ ნიანგი
12 ------ ფაბრის ფიორესი
13 ------ სალიმ არაშე
21 ------ მეტ მუსილუ

მწვრთნელი: ალბერ ემონი

### ბეშიქთაში (თურქეთი)

**მეკარეები**
1 ------ რუშთუ რეჩბერი
35 ------ ატილა ოზმენი
84 ------ ჰაკან არიკანი

**მცველები**
2 ------ სერდარ კურტულუში
3 ------ მეჰმედ სედეფი
5 ------ გიოკან ზანი
8 ------ ბაკი მერჯიმეკი
15 ------ ლამინე დიატა
58 ------ იბრაჰიმ ტორამანი
78 ------ იბრაჰიმ კაში

**ნახევარმცველები**
6 ------ მეჰმეტ იოზგატლი
7 ------ ბურაკ იალმაზი
10 ------ მატიას დელგადო
14 ------ როდრიგო ტელო
17 ------ რიკარდინიო
18 ------ ედუარდ სისე
19 ------ იბრაჰიმ უზულმეზი
21 ------ სერდარ იოზკანი
22 ------ ალი ტანდოღანი
41 ------ კორაი ავჯი
55 ------ იბრაჰიმ აკინი

**თავდამსხმელები**
9 ------ ფედერიგო იგუაინი
11 ------ მარსიო ნობრე
13 ------ ბობო
99 ------ ბატუჰან კარადენიზი

მწვრთნელი: ერტუღრულ საღლამი

## B ჯგუფი

**ჩელსი** ინგლისი
**ვალენსია** ესპანეთი
**შალკე** გერმანია
**რუსენბორგი** ნორვეგია

I ტური. 18.09.07
ჩელსი – რუსენბორგი
შალკე – ვალენსია
II ტური. 03.10.07
ვალენსია – ჩელსი
რუსენბორგი – შალკე
III ტური. 24.10.07
რუსენბორგი – ვალენსია
ჩელსი – შალკე

IV ტური. 06.11.07
ვალენსია – რუსენბორგი
შალკე – ჩელსი
V ტური. 28.11.07
რუსენბორგი – ჩელსი
ვალენსია – შალკე
VI ტური. 11.12.07
ჩელსი – ვალენსია
შალკე – რუსენბორგი

### ჩელსი (ინგლისი)

**მეკარეები**
1 ------ პეტრ ჩეხი
23 ------ კარლო კუდიჩინი
40 ------ ილარიო

**მცველები**
3 ------ ეშლი კოული
6 ------ რიკარდუ კარვალიუ
18 ------ უეინ ბრიჯი
20 ------ პაულო ფერეირა
22 ------ ტალ ბენ ჰაიმი
26 ------ ჯონ ტერი
33 ------ ალექსი
35 ------ ჟულიანო ბელეტი
41 ------ სემ ჰატჩინსონი

**ნახევარმცველები**
4 ------ კლოდ მაკელელე
5 ------ მიკაელ ესიენი
8 ------ ფრენკ ლამპარდი
9 ------ სტივენ სიდველი
10 ------ ჯო კოული
12 ------ ჯონ ობი მიკელი
15 ------ ფლორენ მალუდა
24 ------ შონ რაიტ-ფილიპსი
42 ------ ლი სოუიერი

**თავდამსხმელები**
7 ------ ანდრეი შევჩენკო
11 ------ დიდიე დროგბა
14 ------ კლაუდიო პიზაპრო
21 ------ სალომონ კალუ

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

### ვალენსია (ესპანეთი)

**მეკარეები**
1 ------ სანტიაგო კანისარესი
13 ------ ტიმო ჰილდებრანდი
25 ------ ხუან ლუის მორა

**მცველები**
3 ------ მანუელ ფერნანდეში
4 ------ რაულ ალბიოლი
5 ------ კარლოს მარჩენა
12 ------ მარკო კანეირა
15 ------ ივან ელგერა
20 ------ ალექსისი
23 ------ ლუის მიგელი
24 ------ ემილიანო მორეტი

**ნახევარმცველები**
2 ------ სანი
6 ------ დავიდ ალბელდა
8 ------ რუბენ ბარახა
11 ------ ხაიმე გავილანი
14 ------ ვისენტე როდრიგესი
16 ------ ხუან მატა
17 ------ ხოაკინი
22 ------ ედუ

**თავდამსხმელები**
7 ------ დავიდ ვილია
9 ------ ფერნანდო მორიენტესი
10 ------ მიგელ ანხელ ანგულო
18 ------ ნიკოლა ჟიგიჩი
19 ------ ხავიერ არისმენდი
21 ------ დავიდ სილვა

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

### შალკე (გერმანია)

**მეკარეები**
1 ------ მანუელ ნოიერი
34 ------ ტონი ტაპალოვიჩი

**მცველები**
4 ------ მათიას აბელი
5 ------ მარსელო ბორდონი
16 ------ დარიო როდრიგესი
18 ------ რაფინია
20 ------ მლადენ კრსტაიჩი
24 ------ კრისტიან პანდერი

**ნახევარმცველები**
3 ------ ლევან კობიაშვილი
7 ------ გუსტავო ვარელა
8 ------ ფაბიან ერნსტი
10 ------ ივან რაკიტიჩი
13 ------ ჯერმინ ჯონსი
17 ------ მეზუთ იოზილი
21 ------ კარლოს გროსმიულერი
25 ------ ზლატან ბაირამოვიჩი
26 ------ მიმუნ აზაუაგი
28 ------ მარკუს პეპკე

**თავდამსხმელები**
9 ------ სიორენ ლარსენი
11 ------ პეტერ ლოვენკრანდსი
14 ------ ჯერალდ ასამოა
19 ------ ჰალილ ალტინტოპი
22 ------ კევინ კურანი

მწვრთნელი: მირკო სლომკა

### რუსენბორგი (ნორვეგია)

**მეკარეები**
1 ------ ოლე ლილიას ნაესი
13 ------ ლარს ჰირშფელდი
28 ------ ალექსანდრ ლუნდ ჰანსენი

**მცველები**
2 ------ მიიკა კოპინენი
4 ------ ფრედრიკ სტოორი
5 ------ კრისტერ ბასმა
10 ------ ვიდარ რისეტი
11 ------ ანდრეას ნორდვიკი
18 ------ ალეხანდრო ლაგო
26 ------ ბიორნ ტორე კვარმე
33 ------ მიკაელ დორსინი

**ნახევარმცველები**
6 ------ როარ სტრანდი
15 ------ პერ სკიელბრედი
16 ------ ალბერტ ბერბატოვჩი
19 ------ ალექსანდრ ტეტეი
27 ------ მარეკ საპარა

**თავდამსხმელები**
7 ------ იუსუფ კონე
8 ------ დიდიე კონან ია
9 ------ ტომას ვალიო
11 ------ ჯო სონდრე აასი
14 ------ სტეფან ივერსენი
17 ------ იოვინ სტორფლორი
20 ------ აბდუ რაზაკ ტრაორე
23 ------ მიკაელ ჯემტფოლი

მწვრთნელი: კნუტ ტიორუმი

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დღეს

## C ჯგუფი

**რეალი** ესპანეთი
**ვერდერი** გერმანია
**ლაციო** იტალია
**ოლიმპიაკოსი** საბერძნეთი

I ტური. 18.09.07
რეალი – ვერდერი
ოლიმპიაკოსი – ლაციო
II ტური. 03.10.07
ლაციო – რეალი
ვერდერი – ოლიმპიაკოსი
III ტური. 24.10.07
ვერდერი – ლაციო
რეალი – ოლიმპიაკოსი

IV ტური. 06.11.07
ლაციო – ვერდერი
ოლიმპიაკოსი – რეალი
V ტური. 28.11.07
ვერდერი – რეალი
ლაციო – ოლიმპიაკოსი
VI ტური. 11.12.07
რეალი – ლაციო
ოლიმპიაკოსი – ვერდერი

## D ჯგუფი

**მილანი** იტალია
**ბენფიკა** პორტუგალია
**სელტიკი** შოტლანდია
**შახტარი** უკრაინა

I ტური. 18.09.07
მილანი – ბენფიკა
შახტარი – სელტიკი
II ტური. 03.10.07
სელტიკი – მილანი
ბენფიკა – შახტარი
III ტური. 24.10.07
ბენფიკა – სელტიკი
მილანი – შახტარი

IV ტური. 06.11.07
სელტიკი – ბენფიკა
შახტარი – მილანი
V ტური. 28.11.07
ბენფიკა – მილანი
სელტიკი – შახტარი
VI ტური. 04.12.07
მილანი – სელტიკი
შახტარი – ბენფიკა

### რეალი (ესპანეთი)

**მეკარეები**
1 ---------- იკერ კასილიასი
13 ---------- ხორდი კოდინა
25 ---------- ირჟი დუდეკი

**მცველები**
2 ---------- მიჩელ სალგადო
3 ---------- პეპე
4 ---------- სერხიო რამოსი
5 ---------- ფაბიო კანავარო
12 ---------- მარსელო
15 ---------- როისტონ დრენტე
16 ---------- გაბრიელ ჰაინცე
21 ---------- კრისტოფ მეცელდერი
22 ---------- მიგელ ტორესი

**ნახევარმცველები**
6 ---------- მაჰამადუ დიარა
8 ---------- ფერნანდო გაგო
11 ---------- არიენ რობენი
14 ---------- გუტი
19 ---------- ჟულიო ბაპტისტა
23 ---------- უესლი სნეიდერი
24 ---------- ხავიერ ბალბოა

**თავდამსხმელები**
7 ---------- რაული
9 ---------- რობერტო სოლდადო
10 ---------- რობინიო
17 ---------- რუუდ ვან ნისტელროი
18 ---------- ხავიერ სავიოლა
20 ---------- გონსალო იგუაინი

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

### ვერდერი (გერმანია)

**მეკარეები**
1 ---------- ტიმ ვიზე
33 ---------- კრისტიან ფანდერი
40 ---------- ნიკო პელაცი

**მცველები**
2 ---------- სებასტიან ბოინიხი
3 ---------- პეტრი პასანენი
4 ---------- ნალდო
5 ---------- პიერ ვომე
8 ---------- კლემენს ფრიცი
13 ---------- დუშკო ტოშიჩი
15 ---------- პატრიკ ოვომოიელა
16 ---------- ლეონ ანდრეასენი
29 ---------- პერ მერტესაკერი

**ნახევარმცველები**
6 ---------- ფრანკ ბაუმანი
7 ---------- იურიცა ვრანიეში
10 ---------- დიეგო
19 ---------- კარლოს ალბერტო
20 ---------- დანიელ იენსენი
22 ---------- ტორსტენ ფრინგსი
24 ---------- ტიმ ბოროვსკი
31 ---------- კევინ არტმანი
38 ---------- ამაური ბიშოფი

**თავდამსხმელები**
9 ---------- მარკუს როსენბერგი
14 ---------- აარონ ჰუნტი
18 ---------- ბუბაკარ სანოგო
23 ---------- უგო ალმეიდა
34 ---------- მარტინ ჰარნიკი

მწვრთნელი: თომას შააფი

### ლაციო (იტალია)

**მეკარეები**
1 ---------- ნესტორ ფერნანდო მუსლერა
32 ---------- მარკო ბალოტა

**მცველები**
2 ---------- გილერმო სტენდარდო
3 ---------- ალექსანდრ კოლაროვი
6 ---------- ლიონელ სკალონი
8 ---------- ლუჩანო ძაური
13 ---------- სებასტიანო სივილია
25 ---------- ემილსონ კრიბარი
29 ---------- ლორენცო დე სილვესტრი
86 ---------- სიმონე სანიბალე

**ნახევარმცველები**
4 ---------- ფაბიო ფირმანი
5 ---------- მასიმო მუტარელი
10 ---------- რობერტო ბარონიო
11 ---------- სტეფანო მაური
23 ---------- მურად მეგნი
24 ---------- კრისტიან ლედესმა
26 ---------- გაბი მუდინგაი
40 ---------- ფაბიო კაზინი
85 ---------- ვალონ ბეჰრამი
88 ---------- კრისტიან მანფრედინი

**თავდამსხმელები**
17 ---------- იგლი ტარე
18 ---------- ტომაზო როკი
19 ---------- გორან პანდევი
20 ---------- სტეფან მაკინვა
81 ---------- სიმონე დელ ნერო

მწვრთნელი: დელიო როსი

### ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

**მეკარეები**
1 ---------- ლეონიდას პანაგოპულოსი
71 ---------- ანტონიოს ნიკოპოლიდისი
74 ---------- ტომისლავ ბუტინა

**მცველები**
2 ---------- კრისტოს პაცოცლლუ
3 ---------- დიდიე დომი
5 ---------- ჟულიო სეზარი
14 ---------- მიხალ ჟეველაკოვი
15 ---------- რაულ ბრავო
18 ---------- პარასკევას ანცასი
30 ---------- ანასტასიოს პანტოსი
35 ---------- ბასილის ტოროსიდისი
92 ---------- კირიაკოს პაპადოპულოსი

**ნახევარმცველები**
6 ---------- იეროკლის სტოლტიდისი
8 ---------- როდრიგო ხავიერ არჩუბი
11 ---------- პრედრაგ ჯორჯევიჩი
16 ---------- მარკო ნე
19 ---------- კონსტანტინოს მენდრინოსი
22 ---------- კონსტანტინოს მიტროღლუ
28 ---------- კრისტიან რაულ ლედესმა

**თავდამსხმელები**
7 ---------- ლუჩიანო გალეტი
9 ---------- დარკო კოვაჩევიჩი
10 ---------- ლეონელ ნუნიესი
23 ---------- მიხალის კონსტანტინუ

მწვრთნელი: პანაგიოტის ლემონისი

### მილანი (იტალია)

**მეკარეები**
1 ---------- დიდა
16 ---------- ჟელკო კალაჩი
29 ---------- ვალერიო ფიორი

**მცველები**
2 ---------- კაფუ
3 ---------- პაოლო მალდინი
4 ---------- კახა კალაძე
13 ---------- ალესანდრო ნესტა
17 ---------- დარიო შიმიჩი
18 ---------- მარეკ იანკულოვსკი
19 ---------- ჯუზეპე ფავალი
25 ---------- დანიელე ბონერა
27 ---------- სერჟინიო
35 ---------- მატეო დარნიანი
44 ---------- მასიმო ოდო

**ნახევარმცველები**
4 ---------- ემერსონი
8 ---------- ჯენარო გატუზო
10 ---------- კლარენს ზეედორფი
20 ---------- იოან გურკუფი
21 ---------- ანდრეა პირლო
23 ---------- მასიმო ამბროზინი
32 ---------- კრისტიან ბროკი

**თავდამსხმელები**
9 ---------- ფილიპო ინძაგი
11 ---------- ალბერტო ჯილარდინო
22 ---------- კაკა
84 ---------- ვილი აუბამეიანგი
99 ---------- რონალდო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

| 15023 | სკანთორპი-პრესტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | უენსდი-ბარნლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15417 | იორგრიტე-იოსტერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15654 | მარსელი-ბეშიქთაში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15655 | პორტუ-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15658 | შალკე-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15659 | რეალი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15661 | ოლიმპიაკოსი-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15664 | შახტარი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15665 | რეინჯერსი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15666 | ბარსელონა-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15668 | რომა-დინამო კ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15670 | სპორტინგი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15671 | პსვ-ცსკა მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15672 | ფენერბაჰჩე-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15673 | სლავია-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15674 | არსენალი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15748 | ბრეშა-პიაჩენცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15759 | რექსემი-მაკლსფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15761 | ნოტინგემი-ლესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

RUGBY WORLD CUP 2007

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# ქართველ მორაგბეთა საიდუმლოაყრილი ფიცი შემაგრებული „ძლევაითა საკვირველითა“



— ჩემი ნაკრებში ვერმოხვედრით ბევრიც არაფერი დაშავებულა. ვინც ახლა ჩემს ადგილას თამაშობს, ღირსია მსოფლიოს თასზე გამოსვლისა. გული, რა თქმა უნდა, მწყდება, მაგრამ თან მიხარია, რომ ამ ბიჭებს ოცნება აუხდათ, მე კი უკვე მოვესწარი მსოფლიოს თასზე თამაშს — ეს ალალი სიტყვები საქართველოს ნაკრების უგამოცდილესმა მორკინალმა ზურაბ მჭედლიშვილმა გვითხრა მსოფლიოს თასის წინ, როცა შეიტყო, რომ სატურნირო განაცხადში ვერ მოხვდა. მჭედლიშვილის მაშინდელი კომენტარი სწორედაც რომ სარკესავით ირეკლავს „ლელოების“ გასახდელის ვითარებას. წინა მსოფლიოს თასისგან განსხვავებით, ახლა ბიჭები, რასაც ერთ მუშტად შეკვრა ჰქვია შერკინებისას, ისე არიან.
ამხელა შესავალი კი იმიტომ დაგვჭირდა, რომ საფრანგეთიდან თბილისში დროებით ჩამოსულმა ჩვენი რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა კოკა ლაზიშვილმა დამბურძგლავი ამბები გვამცნო... თანაც პირველად გაიგებთ, თუ რას იფიცებენ ჩვენი მორაგბეები მატჩის წინ, რაც აქამდე, რაგბის წესისამებრ, საიდუმლო იყო...

# ერთი ყველასთვის, ყველა საქართველოსთვის!

AFP



— თავიდან ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც ირლანდიასთან მატჩის შემდეგ მოხდა და რომლის გახსენებაზეც ემოციებს ვერ ვიკავებ. ირლანდიასთან მეორე შუამარბად რეზო გოგაურს უნდა ეთამაშა, მაგრამ წინა დღეს სალამოს ვარჯიშისას ფეხი იტკინა და მის მაგივრად მალხაზ ურჯუკაშვილი იდგა. რეზომ ტრავმა ძალიან განიცადა და ცრემლები ვერ შეიკავა... მატჩის შემდეგ ირლანდიელთა კაპიტანმა, ლეგენდარულმა ბრაიან ოდრისკოლმა ურჯუკაშვილს მაისურა გაუცვალა. მახო ტრიბუნაზე მჯდომ გოგაურთან მივიდა და უთხრა — რეზო, დღეს შენ უნდა გეთამაშა, ეს მაისურა შენია და დამიჯერე, მომავალიც შენიაო. უნდა გენახათ გოგაურის სახე, ბიჭმა მეორედაც ვერ შეიკავა ცრემლები და მახოს გადაეხვია. ეს ერთ-ერთი ამაღელვებელი ეპიზოდი იყო...

**— მატჩის წინ გასახდელში რა ხდება?**

— ამის სიტყვებით გადმოცემა ძალიან ძნელია, ეს უნდა ნახოთ. ცოტა შორიდან დავიწყებ. თასის გახსნა ჩვენი რაგბის კავშირის აწ გარდაცვლილი აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი ჩხეიძის დაბადების დღეს დაემთხვა. გუნდის უფროსობა ჩვენთვის ვიჯექით და ვიხსენებდით, ირაკლი ყოველი კამათისას რომ ამბობდა — საქართველო გაბრწყინდება და ამას მორაგბეები გააკეთებენ. ჩვენი საუბარი, ეტყობა, ბიჭებმა გაიგეს. არგენტინასთან მატჩის წინ, გასახდელში ირაკლის პატივსაცემად დასჭექეს — საქართველო გაბრწყინდება! ვერ წარმოიდგენთ, ამან როგორ იმოქმედა ყოველ ჩვენგანზე.

**— ყველა ნაკრებს მატჩისწინა რიტუალი აქვს. ჩვენს გასახდელში ამ დროს რა ხდება?**

— არგენტინასთან მატჩის წინ უფროსობა გასახდელში ჩავედით, ბიჭების გამხნევება გვინდოდა და, დიდი-დიდი, ათი წუთი ვაპირებდით იქ ყოფნას. საუბრისას შოთა მესხიას „ძლევაი საკვირველი“ ვუხსენეთ. ბიჭებმა კი, მეტიც, ისტორია და თითქმის ყველა ქართველი გმირი გაიხსენეს. ირაკლი აბუსერიძემ თქვა, ერეკლე მეფეს ერთი მაგარი მეომარი ჰყავდა, ისიც აბუსერიძე და დღეს არგენტინელებს სისხლს გავუშრობთ. ერთი სიტყვით, ბიჭები ისე იმუხტებოდნენ, იფიქრებდით, უკანასკნელი ბრძოლისთვის ემზადებიანო. ამის შემდეგ მწვრთნელებისგან ბოლო მითითებებს იღებენ, მერე კი „მამაო ჩვენოს“ კითხულობენ. ლოცვისას იხსენებენ, როგორი სიყვარულით და ლოცვით გააცილა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ჩვენი ნაკრები. უწმინდესმა ისე დალოცა ბიჭები, როგორც ერეკლე მეფე მოძღვრავდა ლაშქარს. ამის შემდეგ ბიჭები მოედანზე გადიან, წრეში ხელგადახვეულები დგებიან და ფიცს დებენ, რომელიც აქამდე საიდუმლო იყო, მაგრამ ახლა გაგიმხელთ: გუნდის კაპიტანი ილო ზედგინიძე ამბობს — ერთი ყველასთვის, ყველა საქართველოსთვის! ამას მოჰყვება გუნდური — საქართველოს გაუმარ-ჯოს-ჯოს-ჯოს!

**— ამ ემოციური ტალღის შემდეგ ცოტა ძნელია სხვა თემაზე გადართვა, მაგრამ გვაინტერესებს, ფრანგი კონსულტანტი ანრი ბრონკანი და ფიზმომზადების მწვრთნელი ნიკოლა ფულკიე როგორ შეეწყვნენ გუნდს?**

— თავიდანვე ვიტყვი, რომ ორივე მაგარი კაცია. ირლანდიასთან მატჩის შემდეგ ფულკიე, ეს გოლიათი კაცი, ბავშვივით მოთქვამდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა — ჩვენ მოვიგეთ, ჩვენ ყველამ მოვიგეთ. ბრონკანი კი ნაღდი პროფესიონალი და უალალესი ადამიანია. თავი გაუცხოვებულად რომ არ ეგრძნო, ჩვენმა მწვრთნელებმა სთხოვეს, მატჩის წინ ბიჭებს მაისურები შენ ჩამოურიგეო. ამან ძალიან გაახარა და ბიჭებს სათითაოდ მოეფერა, გაამხნევა — უთხრა, თქვენით ვამაყობ, თქვენ ისე გიყვართ საქართველო, უკვე ვიცი, რა დიდი ქვეყანა გაქვთ, თორემ ასეთი ვაჟკაცების სიყვარულს ვერ დაიმსახურებდაო. სხვათა შორის, ბრონკანმა ირლანდიასთან მატჩის წინ მორაგბეებს მიმართა, ჩემს დღიურში ცნობილი მწერლების და პოეტების ციტატები მაქვს ჩანიშნული, ამათში განსაკუთრებით ერთი მომწონს და ახლა გავიგე, რომ ქართველი მწერლის ყოფილაო. ადგა ეს დამსახურებული კაცი და მოედანზე გასვლის წინ ბიჭებს ფრანგული აქცენტით ქართულად უთხრა: რათსაც გასთემ შენია, რათს არა და-კარ-გულია.

**— ესე იგი, ქართველ მწვრთნელებს კარგად შეეწყო?**

— ეს ცალკე თემაა. მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი და პაატა ნარიმანაშვილი ძალიან დასაფასებელი, იშვიათი მუხტისა და უნარის ადამიანები არიან. უნდა ნახოთ, როგორ ერთ მუშტად შეკრეს გუნდი, ბიჭებთან მეგობრობენ, ყველას ინდივიდუალურად უდგებიან. ირლანდიასთან მატჩის წინ შემადგენლობა რომ გამოაცხადეს, ცოტა შევიშმუშნე, ვიფიქრე, ოდრისკოლს და მისნაირ ვარსკვლავებს ახალბედებს როგორ უპირისპირებენ-მეთქი. მალხაზ ჭეიშვილი მოვიდა და მეუბნება, შშვიდად იყავი, ვიცით, რასაც ვაკეთებთო. ერთ მაგალითსაც გეტყვით. გიორგი შკინინს თავიდან ძალიან გაუჭირდა, ვერა და ვერ ათამაშდა, არადა, ვიცით, რომ შეეძლო. შარშანდელ ამბავს გეუბნებით: ჭეიშვილი მეუბნება, ეს ბიჭი მაგარია, უნდა ვენდოთო. ერთი პირობა ნაკრებს გაარიდეს და შვიდკაცას ტურნირებზე გაუშვეს. შკინინიც ნელ-ნელა გაიხსნა და აგერ, მსოფლიო აალაპარაკა. ვალიარებ: ქართველმა მწვრთნელებმა გაამართლეს და ჩვენი ნაკრების ბრწყინვალე თამაში მათი დამსახურებაა.

**— მსოფლიო მართლაც ალაპარაკდა საქართველოს ნაკრებზე...**

— არგენტინასთან მატჩისას რაგბის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი, ირლანდიელი სიდ მილარი ჩემ წინ იჯდა და პირველი ტაიმის შემდეგ თქვა, როგორც უნდა დამთავრდეს მატჩი, ანგარიში არ მაინტერესებს, ქართველებმა უკვე გაიმარჯვესო. ხოლო საბჭოს მაღალჩინოსანი დევიდ კერიჯი გაოცებას ვერ მალავდა, როცა გაიგო, რომ მხოლოდ რაგბის ორი მოედანი გვაქვს. მითხრა, ამის შემდეგ თუ თქვენი მთავრობა საქართველოს ყველა კუთხეში რაგბის მოედნებს არ გააკეთებს, ესე იგი, წინსვლაზე ფიქრი არ უნდაო. მე გადმოვცეს საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები და მჯერა, მალე რაგბის თამაშისთვის ყველანაირი პირობა იქნება.

**ბაჩო სვანიძე**

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

მსოფლიოს მეექვსე თასმა ჯგუფური ეტაპის ჯერ მხოლოდ ნახევარი მოილია, მაგრამ უკვე იმდენი საინტერესო რამ მოხდა, რომ ჩვენმა ახალზელანდიელმა კოლეგებმა გამორჩეული ამბების, მათებურად „ჰაილაითების" ჩამოწერის ცდუნებას ვერ სძლიეს. და იცით, რა ჩათვალეს მსოფლიოს თასის ყველაზე გამორჩეულ ამბად? საქართველოს მიერ ირლანდიის თითქმის ძლევა. გთავაზობთ თასის ათი საინტერესო მოვლენის ახალზელანდიურ ჩამონათვალს

## მსოფლიოს თასის ათი ახალზელანდიური „ჰაილაითი"

**1. საქართველო ჩვენს გონებაში** — ამბობენ, რაგბი ის თამაშია, რომელსაც სამოთხეში თამაშობენო. და ეს თუ მართლაც ასეა, მაშინ ღმერთმა აშკარად დაჩაგრა ქართველები, რადგანაც ამ უქმეებზე არაფრის დიდებით არ გაუღიმა. პოსტსაბჭოთა ტერიტორიიდან ჩამოსულმა მთაკაცებმა ირლანდიასთან 10:14 წაგებით ირბ-ს დაუმტკიცეს, რომ აუცილებელია ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარება. როგორც იქნა, ჩაი სარაგბო ერმაც დაიყვირა და, ღმერთო ჩემო, რა სანახობა იყო ეს. როგორც ითქვა, სამართალი რომ ყოფილიყო, ქართველებს ის თამაში უნდა მოეგოთ და საამისოდ მათ სანტიმეტრებიღა დააკლდათ, ჯახში, რომელმაც თხემით ტერფამდე შეარყია ირლანდიური რაგბის სამყარო. და კიდევ — ინგლისელებმა მადლობა შესწირონ ღმერთს, რომ ეს მთაკაცები სხვა ჯგუფში არიან.

**2. დიდი, ცუდი, სუნთქვისშემკვრელი ქურციკების განაცხადი — „აბა, მოდით, თუ მაგრები ხართ!"** — „ოლ ბლექსი" შეიძლება ბუკმეკერთა ფავორიტი იყოს, მაგრამ ჯეკ ვაიტის სამხრეთ აფრიკამ ინგლისის გაცამტვერებით ძალთა ბალანსი აშკარად შეცვალა.

**3. არგენტინის გამარჯვება გახსნით მატჩში** — არგენტინამ დაამტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე მათი ადგილიც მოიძებნება. „პუმებმა" შეიძლება ლამაზ სტილში ვერ მოიგეს, მაგრამ ეს ვის ენაღვლება — მთავარია, რომ მათ მასპინძლებსა და მთლიანად ტურნირს ცივი წყალი გადაასხეს და გამოაღვიძეს.

**4. „ოლ ბლექსის" პირველი 20 წუთი იტალიასთან** — ახალ ზელანდიელთა მიერ მატჩის პირველ მეოთხედში ნაჩვენებმა თამაშმა ნაკრებთან, რომელსაც „ექვს ერში" უკვე ყველა პატივისცემით ეპყრობა, ყველაზე ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად ძლიერი შემადგენლობა ჩამოუყვანია გრემ ჰენრის.

**5. ტონგას მიერ სამოას გამწარება** — კუნძულების ჯახზე სისხლის ამაღულებელი რა უნდა იყოს. ეს ახლაც დამტკიცდა, როცა ტონგამ ბოლო შვიდ წელიწადში პირველად მოუგო სამოას და ის ფაქტი, რომ ტონგამ 13 კაცით ჩაამთავრა მატჩი, ამ დრამის აუცილებელი ნაწილი იყო.

**6. გულშემატკივრები** — საფრანგეთმა, როგორც ნაკრებმა, შეიძლება ღირებულად ვერ დაიწყო ტურნირი, მაგრამ საფრანგეთმა, როგორც ქვეყანამ, ეს ბრწყინვალედ შეძლო.

**7. ბრაიან ეშტონის უაზრო სიჯიუტე** — ეს ყველაზე კომედიური ნაწილია. ინგლისელთა დამრიგებელს არაფრით სურს, სიმართლეს თვალებში შეხედოს და თავისი ნაკრების უსუსურობა აღიაროს.

**8. ირბ-ის მიერ სხალკ ბურხერის დისკვალიფიკაციის შემცირება** — როგორც იქნა, მიხვდა რაგბის ხელმძღვანელობა, რომ ხალხი გიჟურ ფულს ბილეთებში იმისთვის იხდის, რომ გამორჩეულ პიროვნებებს, ვარსკვლავებს უცქიროს.

**9. პორტუგალიის ლელო „ოლ ბლექსთან"** — საკუთარი ჩათვლის მოედანში უამრავი ლელოს გამშვებ გუნდს კიდევ რამე რომ გაუხარდება, ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს. რუი კორდეირომ კი თავისი სახელი უკვდავყო პორტუგალიის რაგბის ისტორიაში.

**10. „ოლ ბლექსის" ახლებური „გულჩვილობა"** — გრემ ჰენრიმ პორტუგალიასთან ნამატჩევს განაცხადა, ჩემმა ბიჭებმა გულჩვილობა გამოიჩინეს და მეტოქე დაინდესო. თუ ეს კაცი 108:13-ს დანდობას ეძახის, მაშინ... ისე, მართლაც დაინდეს — ზელანდიელებს ხომ არ დაუსახიჩრებიათ პორტუგალიიდან ჩამოსული ლამაზი ბიჭები.




AFP

## მამალმა შეიფთხიალა

**არგენტინისგან** შერცხვენილმა საფრანგეთმა ჯავრი ნამიბიაზე იყარა. „მამალმა" სარაგბო სამყაროს თავისი რეალური სახე დაანახა და ოდნავ დაჩლუნგებული დეზები საცოდავ აფრიკელებზე ალესა. ამ თამაშით საფრანგეთის ნაკრებმა სხეულიდან არგენტინული „დემონები" განდევნა და საკუთარი გულშემატკივრის თვალში რეაბილიტაცია მოახდინა. ლაპორტის ბიჭებმა მშვენიერი განწყობა შეიქმნეს ირლანდიასთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ და ხმამაღლა იყივლეს, ჩვენ ისევ მსოფლიოს თასის ფავორიტები ვართო.

საფრანგეთის სპორტის მომავალმა მინისტრმა და ახლა „ლურჯების" დამრიგებელმა ბერნარდ ლაპორტმა პირველი შეხვედრისგან განსხვავებული თხუთმეტეული გაიყვანა მოედანზე. ძირითადში ითამაშეს ფრედერიკ მიშელაკმა და სებასტიან შაბალმა, რომლებმაც იმ დღეს მართლაც დიდებული რაგბი აჩვენეს. საფრანგეთი, როგორც გუნდი, ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. მართალია, სუსტ მეტოქესთან, მაგრამ აკი ამ მსოფლიოს თასმა დაგვანახა, რომ აუტსაიდერებთანაც ისეთივე ჯაფა, ოფლის ღვრა და ომია საჭირო, როგორიც ფავორიტებთან.

ოთხმოცი წუთი „ლურჯებმა" ხელდახელ რაგბობაში და სულ ნაირ-ნაირი კომბინაციების გათამაშებაში გალიეს. ნამიბიელებს სიტუაცია იმანაც გაურთულა, რომ პირველივე ტაიმში კაცი გაუგდეს და კაცნაკლული აფრიკელები ფრანგ მელელოვეებს ველარ უმკლავდებოდნენ. შაბალმა ერთ მომენტში ორი ნამიბიელი გადაჯეკა და ლელო ისე გაიტანა, თითქოს პროფესიონალ მორაგბეებს კი არა, სკოლის მოსწვლეებს ეთამაშებოდა.

ნამატჩევ პრესკონფერენციაზე ლაპორტმა გაღიმებული სახით თქვა რამდენიმე სიტყვა: „ჩვენ ყოველგვარი ძალდატანების, დაძაბულობისა და შიშის გარეშე ვითამაშეთ გასაოცარი რაგბი. როცა ჩვენს თავს ცუდი ამბები ხდება, მალევე უნდა დავივიწყოთ და განახლებული ძალებით შევუდგეთ შრომას."

ნამიბიელებმა კი გული იმით მოიოხეს, რომ მატჩის მიწურულს ლანგენჰოვენმა „მამლების" პასი ჩაჭრა და თავისი ოცდაორიდან გაქცეულმა ლელო გაიტანა.

**ზურაბ მიგრიაული**

D ჯგუფი

16 სექტემბერი. ტულუზი

**საფრანგეთი 87:10 ნამიბია**

საფრანგეთი: პუატრენო, კლერკი, მარტი, ტრაი, ეიმანსი; მიშალაკი, ელისალდე (კაპ); ბონარი, დუსატო, ნიანგა, ნეილი, შაბალი, დე ვილიე, შარჟევსკი, პუ

სათადარიგოები: იბანიესი, მასო, პელუ, არინორდოკი, ბიუ, ჟოზიონი, რუჟერი

13 ლ: ეიმანსი, მარტი, დუსატო, ნეილი (2), კლერკი (3), ბონაირი, შაბალი (2), ელისალდე, იბანიესი; 11 გ: ელისალდე

ნამიბია: ლოსპერი, ვიტბუი, ნაგერჰოვენი, ფან ზუი, ბოკი; ვესელსი, ფან ტონბერგი; ნიუენჰუიზი, მაკკენზი, ბურგერი, ესტერჰუიზე, კაზომბიაზე, დუ ტოიტი, ჰორნი, ლენსინგი (კაპ)

სათადარიგოები: მეიერი, რედლინჰუიზი, ლინდველტი, დუ პლესი, ჯანტჯისი, ბოტსი, აფრიკა

1 ლ: ლანგენჰოვენი; 1 გ: ლოსპერი, 1 ა: ვესელსი



სებასტიენ შაბალის ანგარიშზე ორი ლელო

AFP

## კუნძულელთა დერბიში ტონგამ სამოა ჩაძირა

„ღარიბი ქვეყნის შვილები ვართ და მსოფლიოს თასზე სათამაშოდ ცარიელი ჯიბეებით ჩამოვედით. ისე მოხდა, რომ ჯგუფში ორი გრანდი გვყავს. მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს — ერთ გოჯსაც კი არავის დავუთმობთ!" — თქვა სამოასთან გმირული გამარჯვებით გახარებულმა ტონგელთა კაპიტანმა ნილი ლატალმა.

მიუხედავად იმისა, რომ ტონგამ მატჩი ცამეტი კაცით ჩაამთავრა, მაინც შეწყვიტა სამოასთან შვიდწლიანი დამარცხებების სერია. მოკლედ რომ ვთქვათ, ორივე გუნდი ბრწყინვალე რაგბის თამაშობს. ორივე გუნდს კონკრეტული მატჩისთვის მოედანზე რაღაც მიაქვს, რაღაც ახალი და იქვე ტოვებს. ამიტომაც უჭირთ ბობოლებს ამ ორ პაწაწინა ქვეყანასთან რაგბობა.

16 სექტემბერი. მონპელიე

**სამოა 15:19 ტონგა**

ტონგოელები შეხვედრის მე-60 წუთამდე მდევრის როლში თამაშობდნენ, მაგრამ მიუხედავად კაცნაკლულობისა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში ტაქტიკურად გამართულად იბურთავეს და არ მისცეს სამოელებს ანგარიშში გაქცევის საშუალება.

მატჩში პირველი სამი ქულა ტონგელთა ანგარიშზე მოვიდა. ჰოლამ მე-3 წუთზე საჯარიმო გაიტანა. მას შემდეგ უკვე სამოელები დომინირებდნენ და მათმა დამრტყმელმა დიკ კრიჩტონმა პირველ 30 წუთში ოთხი დარტყმა შეაგდო. პირველი ტაიმის ბოლოს და მეორის დასაწყისში ტონგამაც ჯარიმებით უპასუხა მოწინააღმდეგეს, მაგრამ შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი და თამაშის ერთადერთი ლელო მე-60 წუთზე შეიქმნა. სამოელთა ლელოს მისადგომებთან შერკინების ჩაქცევისთვის ჯარიმა დაინიშნა, მაგრამ ტონგამ კარში დარტყმას აუტი ამჯობინა. შემოწოდებულ ბურთს კი ტაიონემ სამოელთა ლელოში მიუჩინა ადგილი და ფაქტობრივად მატჩის ბედიც გადაწყვიტა.

**ზურაბ მიგრიაული**

# ევროპის ჩემპიონატი
## ესპანეთი. 3–16 სექტემბერი



# ოქროს ბავშვები
## ამერიკელმა და კანადელმა რუსებს ევროპა აჩუქეს

**ფინალი**

**რუსეთი 60:59 ესპანეთი**
**11:22 20:12 15:15 14:10**

რუსეთი: სამოილენკო, ჰოლდენი (8), კირილენკო (17), ხრიაპა (7 ქულა, 12 მოხსნა), სავრასენკო (10); პანკრაშოვი (8), პაშუტინი (3), მარგუნოვი (4), მონია (3), პადიუსი
ესპანეთი: კალდერონი (15), ხიმენესი (5), ფერნანდესი (5), რეიესი (5), პ. გასოლი (14 ქულა, 14 მოხსნა); გარბახოსა (8), მ. გასოლი (5), კაბეზასი (2), ნავარო, ს. როდრიგესი, ბ. როდრიგესი, მუმბრუ

როცა რუსეთი საბჭოთა კავშირის მთავარი რესპუბლიკა იყო, ევროპის ჩემპიონობა სხვა რესპუბლიკების დახმარებით 14-ჯერ მოიგო, თუმც როცა რუსეთი რუსეთი გახდა, კონტინენტურ ტიტულს ვერა და ვერ შესწვდა. მთელი 16 წელი სლავები დიდი ამბიციით ებალებოდნენ ევროპის პირველობას, მაგრამ ლიტველების, ლატვიელების, ესტონელების, უკრაინელებისა და ქართველების გარეშე დარჩენილებმა ჩემპიონობა წლევანდლამდე ვერ მოიპოვეს. მანამდე ინტერნაციონალური რუსეთი საქმეს მეტად ეროვნულად უდგებოდა, მცოდნე უცხოელ მწვრთნელს არ იწვევდა და არც გუნდის გასაძლიერებლად მიმართავდა კალათბურთში მიღებულ ნატურალიზაციას.

ბოლო წლებში ყინული გალღვა და რუსებმა ჯერ ამერიკელ ჯეიარ ჰოლდენს მისცეს არწივიანი პასპორტი, ხოლო მერე მწვრთნელად დევიდ ბლატი მიიწვიეს. შედეგად კი ის მიიღეს, რომ ევროპის ჩემპიონები გახდნენ და ეს გამარჯვება, ძირითადად, ამ ორ მოწვეულ უცხოელს უკავშირდება.

კალათბურთის უცოდინარი უნდა იყო, რუსების ამ წარმატებაში დევიდ ბლატის ლომის წვლილი რომ არ დაინახო. ეს ახალგაზრდა, უშრეტი ენერგიისა და საკალათბურთო ტაქტიკის უბადლოდ მცოდნე სპეციალისტი მთელი ჩემპიონატის მანძილზე გონივრულად უძღვებოდა მატჩებს და გამჭრიახი შეცვლებითა თუ დარიგებებით რუსები ევროპის მწვერვალამდე მიიყვანა.

„ეს უმნიშვნელოვანესი მომენტია რუსი ერის ცხოვრებაში. — განაცხადა დევიდ ბლატმა — ეს ამ ქვეყნის პირველი ჩემპიონობაა. მეამაყება, რომ ამ ისტორიული გამარჯვების მონაწილე ვარ."

ბლატი ვერაფერს გახდებოდა, ჯეიარ ჰოლდენს სირენამდე 2 წამით ადრე გამარჯვების ბურთი რომ არ ჩაეგდო. გარუსებულმა ამერიკელმა ფინალში ესპანელებს 8 ქულა ჩაუგდო, თუმცა მის ბოლო სროლას ოქროს ფასი ჰქონდა. ჰოლდენმა საკუთარ თავზე აიღო რუსების ბედი და შორი ორქულიანი, გვარიანად უხერხული მდგომარეობიდან, მასპინძლების კალათში მოათავსა, რითაც რუსეთი 60:59 დააწინაურა და ჩემპიონობაც გაუნაღდა.

ეს ბოლოს იყო, მანამდე კი არ შეიძლება, ვიქტორ ხრიაპასა და ანდრეი კირილენკოს ნაჯაფარზეც არ ვთქვათ. პირელი ფარის მეფე გახდა 12 მოხსნით, „იუტა ჯაზის" ლიდერმა კი 17 ქულით მატჩის ბომბარდირობა შეითავისა. კირილენკომ ბოლო 3 წუთი 4 პერსონალურით ითამაშა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, მატჩის ბოლო წუთზე უმნიშვნელოვანესი ჩაჭრები გაეჩარხა.

ესპანეთი სირენამდე წუთნახევრით ადრე 5 ქულას იგებდა, მაგრამ წაგება მაინც მოახერხა და ეს მათი ქებული პაუ გასოლის „დამსახურებაა", ვინც ბოლო მეოთხედში 8-დან 5 საჯარიმო გააცუდა. ამ სროლების უმეტესობა ბოლო წუთებზე მოდიოდა, ანუ იმ მომენტზე, როცა ესპანელებისთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი ჰქონდა.

რუსების კაპიტანი ანდრეი კირილენკო ბავშვივით აღტაცებული იყო: „უზომოდ გახარებული ვარ. ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს, რომელსაც თავისუფლად შეუძლია, ჩემს დაუხმარებლად ითამაშოს და მოიგოს. ესაა ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა კარიერაში. რუსეთის ნაკრების ყველა წევრი ჩემი ძმაკაცია. ჩვენ ერთად გავიზარდეთ და კალათბურთის ანბანას ერთად ვეზიარეთ. ვიქტორ ხრიაპას 10 წელია, ვიცნობ. რუსეთის ნაკრების წევრებთან 15 წლიდან ვთამაშობ. ჩვენ ახლა ყველაზე ბედნიერი ბავშვები ვართ მსოფლიოში."

ბრინჯაოს მედალი კი ლიტვას ერგო, რომელმაც საბერძნეთი დაამარცხა და ოლიმპიადის საგზურს დაეპატრონა.

**ირაკლი ბერტაია**

# ქართულ ოცნებას ინგლისი და ფინეთი დაეპატრონნენ

**ის, რისთვისაც** საქართველო იბრძოდა, სხვას შეხვდა. კენ შილდსის გუნდის მიზანი და ოცნება A დივიზიონში ანაცვლება იყო, მაგრამ ჩვენები ჯგუფიდან ვერ გავიდნენ და ელიტაში სხვები ალზევდნენ.

ფინეთისა და ინგლისის ნაკრები მომავალ წელს კონტინენტის უძლიერეს გუნდთა მარაქაში მოსინჯავენ ძალას და 2009 წლის ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად იბრძოლებენ. ახლა ამ გუნდებმა ჯგუფიდან გასვლის შემდეგ წარმატებით დაძლიეს საპლეიოფო ბარიერი — ფინეთმა ორი მატჩის ჯამში რუმინეთი დაამარცხა, ინგლისმა კი შვეიცარიას შანსი არ დაუტოვა.

პირველი მატჩები 11 სექტემბერს გაიმართა. ინგლისმა შვეიცარია ლონდონში 74:41 დაამარცხა და A დივიზიონის საგზური, ფაქტობრივად, გაინაღდა, ხოლო ფინეთმა რუმინეთში 7 ქულით წააგო და საპასუხო მატჩის იმედად იყო.

15 სექტემბერს ყველა კითხვას გაეცა პასუხი. ინგლისმა სტუმრადაც დაამარცხა შვეიცარია, ფინეთმა კი შინ შუაზე გააპო რუმინეთი (111:61) და ელიტაში აინაცვლა.

მომავალ წელს ქართველები ხელახლა შეეცდებიან, დაწყევლილი D დივიზიონიდან თავის დაღწევას და აქედანვე ვიცით, რომ ჩვენი გამამწარებელი ფინეთი აღარ გაგვიწევს მეტოქეობას. A დივიზიონიდან დანია და შვედეთი ჩამოქვეითდნენ და რა როგორ იქნება, მომავალ შემოდგომაზე ვნახავთ.

**ირაკლი ბერტაია**



**კაცები. ბუქარესტი. რუმინეთი. თიხნარი საპრიზო 353 450 ევრო**

**ფინალი**

ჟილ სიმონი (6, საფრანგეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 4:6 6:3 6:2

**კაცები. პეკინი. ჩინეთი. ჰარდი. საპრიზო 475 000 $**

**ფინალი**

ფერნანდო გონსალესი (2, ჩილე) — ტომი რობრედო (3, ესპანეთი) 6:1 3:6 6:1

**ქალები. ბალი. ინდონეზია. ჰარდი საპრიზო 225 000 $**

**ფინალი**

ლინდსი დევენპორტი (აშშ) — დანიელა ჰანტუხოვა (2, სლოვაკეთი) 6:4 3:6 6:2

# ლინდსი კორტს ვერ ელევა

**ჟილ სიმონმა** ბუქარესტში სეზონის უკანასკნელი სათიხნარო ტურნირის მოგებით წლეულს და ამასთანავე კარიერაში მეორე ტიტული გაინაღდა. აქამდე ფრანგმა მარსელში იხეირა...

მან ცუდად კი დაიწყო, მაგრამ ნელ-ნელა ხელთ იგდო უპირატესობა, მეორე სეტიდან კი მასპინძელი ვიქტორ ჰანესკუ აშკარად დაჯაბნა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

„მეორე ტიტული გავინაღდე და ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს პირველისგან იმით განსხვავდება, რომ მარსელში გამარჯვება ჩემთვისაც სიურპრიზი იყო, აქ კი ყველა მატჩში ფავორიტის რანგში ვთამაშობდი და მოგების იმედიც მქონდა."

ჰანესკუ კი თავის პირველ საკარიერო ტიტულს უმიზნებდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. თუმც რუმინელისთვის, რომელსაც ტრავმების გამო თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა და რეიტინგში 643-ე საფეხურამდე ჩამოქვეითდა, ფინალში თამაშიც კარგი მიღწევა იყო.

ფერნანდო გონსალესმა მესამე ცდიდან შეძლო წლეულს თავისი პირველი ტიტულის მოპოვება. აქამდე ჩილელმა ავსტრალიის ღია პირველობისა და რომის მასტერსის ფინალებში ითამაშა და ორივე წააგო. თუმც ეს სრულებით გასაგებია, რადგანაც სამხრეთამერიკელს საუკეთესოებთან მოუწია დატაკება — მწვანე კონტინენტზე როჯერ ფედერერს, იტალიაში კი რაფაელ ნადალს გადაეყარა და რაღა გასაკვირია, რომ ორივე შემთხვევაში დამარცხდა.

სამაგიეროდ, პეკინის ფინალში დაახლოებით თავისი დონის მეტოქე შეხვდა და გამარჯვებაც იზეიმა. ამით ჩილელმა ივლის-აგვისტოში ამაზრზენი გამოსვლის სირცხვილი ნაწილობრივ მაინც ჩამოირეცხა — ჩრდილოეთ ამერიკის კორტებზე გონსალესმა ხომ ოთხ ტურნირში დააპირა თამაში და ოთხივეში პირველ წრეში დამარცხდა.

გარდა ამისა, ამ გამარჯვებით გონსალესმა შანხაიში, წლის შემაჯამებელ მასტერსის თასზე მოხვედრის შანსები გაიუმჯობესა, რადგანაც რეიტინგში მეშვიდე პოზიციამდე აღზევდა.

საკუთრივ მატჩმა კი თითქმის მთლიანად ჩილელის კარნახით ჩაიარა. გონსალესს მხოლოდ მეორე სეტის შუაწელზე ჩაეძინა და ამიტომ პარტიაც წააგო, მაგრამ გონს მოვიდა თუ არა, რობრედოს ისევ ადვილად გაუსწორდა.

აი, ახლა კი ნამდვილად დაბრუნდა ლინდსი დევენპორტი. ერთწლიანი შესვენების შემდეგ კორტზე მობრუნებულმა ამერიკელმა დაამტკიცა, რომ სტატისტის როლით დაკმაყოფილებას არ აპირებს და თავის ძველ სიმაღლეებს წაეპოტინება. ეს სიმაღლეები კი საუკეთესოთა შორის ყოფნა და რეიტინგში პირველ-მეორე საფეხურები გახლავთ.

არადა, ამის წარმოდგენა მართლაც ძნელი იყო. არა, იმის კი არა, რომ დევენპორტი ძველებურად ათამაშდებოდა, განსაცვიფრებელი ის არის, თუ რამდენად მალე შეძლო ლინდსიმ ძველი ფორმის აღდგენა. ამერიკელმა ხომ მხოლოდ ივნისის მიწურულს განაახლა ვარჯიში და ამ ორ თვეში ისეთი ფორმა აკრიფა, რომ ბალიზე დღევანდელ ბობოლებსაც გაუსწორდა. ლინდსიმ გზად ტურნირის მეხუთე ნომერი ელენი დანილიდუ და, რაც მთავარია, წლის ერთ-ერთი საუკეთესო მეჩოგნე, ელენა იანკოვიჩი ჩამოიშორა.

**კახა ლომჯარიძე**



ლინდსი დევენპორტი თავის პაწიასთან, ჯაგერ ჯონათანთან ერთად

ავტორბოლა

# ტრაგედია შოტლანდიაში




AFP

**სამწუხარო** ამბავი შოტლანდიიდან. გუშინწინ ავიაკატასტროფაში დაიღუპა 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონი რალიში კოლინ მაკრეი — დიდებული მრბოლი და ჩინებული პიროვნება.

39 წლის შოტლანდიელის ვერტმფრენი, რომელსაც თავად მართავდა, ჯერვისვუდის მახლობლად ტყიან ადგილში ჩამოვარდა. ვერტმფრენში კიდევ სამი მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის კოლინის ხუთი წლის შვილი ჯონი. ყველანი დაიღუპნენ.

მაკრეი კლასიკურ რალიში პირველი ბრიტანელი მსოფლიოს ჩემპიონი იყო. მან ეს ტიტული „სუბარუთი" მოიპოვა. კიდევ ორჯერ ვიცე-ჩემპიონიც გახდა. მონაწილეობა მიიღო 145 რბოლაში, რომელთაგან 25 მოიგო. უკანასკნელად შარშან გაიჯირითა, როცა „სიტროენის" საჭესთან ერთ ეტაპზე შეცვალა ხელმოტეხილი ფრანგი სებასტიენ ლოები.

ბრიტანელებს სულ ორი გვირგვინოსანი მრალე ჰყავდათ და ის მეორეც აღარაა ამქვეყნად. შარშანწინ თავის ტვინის სიმსივნით გარდაიცვალა 34 წლის ინგლისელი რიჩარდ ბარნსი, რომელმაც ტიტული 2001 წელს ასევე „სუბარუთი" მოიგო.

**გია ახალაძე**

მძლეოსნობა

# ლიგის ოქრო ამერიკელმა და რუსმა გაიყვეს

**16 სექტემბერს** პირთამდე გადაჭედილ ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე" დასრულდა 2007 წლის ოქროს ლიგა. მხოლოდ ორ რჩეულ მძლეოსანს ხვდა წილად ლიგის ოქროების დაკბილვის ბედნიერება — მხოლოდ ამერიკელმა 400 მეტრზე მორბენალმა ქალმა სანია რიჩარდსმა და რუსმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ მოიგეს ლიგის ექვსივე ეტაპი და გაიყვეს მილიონი დოლარის ღირებულების ოქროს ზოდები, რაც ამ უნიკალური ლიგის, ანუ ექვსი ტურნირის ერთობლიობის მთავარი პრიზია.

ორივე კარგი იყო პრაქტიკულად მთელი სეზონი. ისინბაევას ქალთა ჭოკით ხტომაში კარგა სამი წელია, ბადალი არ ჰყავს და მას ტრავმა ან რაიმე სხვა ფათერაკი თუ შეუშლიდა ხელს ამ ოქროების დათრევაში. რიჩარდსისთვის კი ეს წელი კარგიც იყო და ცუდიც. ჩვენგან აქამდე ათასჯერ ნახსენები მიზეზების გამო მან ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ირბინა თავისი 400 მეტრი, რომელსაც ულაპარაკოდ მოიგებდა. სამაგიეროდ, რიჩარსდსმა აგერ ოქროს ლიგა დაიპყრო — მის არც ერთ ეტაპზე არ წაუგია, ბერლინში კი ოსაკაში მის არყოფნაში გაყოჩაღებულ სამივე პრიზიორს მოუგო მძლავრი, 49,27-წამიანი შედეგით.

მეექვსე, ბერლინული ეტაპი 16 სექტემბერს გაიმართა, მეხუთე ლიგურ თავყრილობას კი ორი დღით ადრე უმასპინძლა ბელგიის დედაქალაქმა ბრიუსელმა, სადაც ასევე გადაივსო 47-ათასიანი „მეფე ბოდუენის" სახელობის სტადიონი. აქ ერთი ალსანიშნად ღირსი რამ მოხდა — 5 კილომეტრზე სირბილში მსოფლიოს და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კენიელმა მესერეტ დეფარმა არაოფიციალურ სახეობაში, 2 მილზე, ანუ დაახლოებით 3200 მეტრზე სირბილში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. ეს დისტანცია მან 8 წუთსა და 58,58 წამში დაფარა, რითაც ერთბაშად 11 წამი მოაკლო ძველ რეკორდს.

**კოტე ყორშია**




AFP ბერლინიდან

ოქროს ლიგის დედოფლები: ელენა ისინბაევა და სანია რიჩარდსი

მოტორბოლა

# დოქტორი გამოცოცხლდა

**ზედიზედ** ოთხ ეტაპზე ჩავარდნების შემდეგ, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ვალენტინო როსიმ ატლანტიკის ოკეანისპირა ეშტორილის ავტოდრომზე დიდებული გამარჯვება მოიპოვა.

პორტუგალიური ეტაპისთვის იამაჰელმა კონსტრუქტორებმა „დოქტორს" ახალი, მართლაც რომ სუპერძრავა დაუმზადეს და შედეგმაც არ დააყოვნა, თუმც აშკარად დაგვიანებულმა, რადგან წლევანდელ ჩემპიონატში უკვე რვა ეტაპის მომგებ ვუნდერკინდ კეისი სტოუნერს გენერალურ კლასიფიკაციაში მოტორაკეტაც ველარ დაეწევა.

ოთხკილომეტრიან „ეშტორილზე" ვალიმ ჯერ კეისი ჩამოიტოვა ერთ-ერთ მოსახვევში ფილიგრანული მანევრით, შემდეგ ლიდერ დანიელ პედროსას გამოუდგა და შვიდი წლით უმცროს კოლეგასთან შთამბეჭდავი დუელიც გააჩაღა.

დასკვნით ხუთ წრეზე მათ ერთმანეთს მიყოლებით შვიდი სალიდერო „ჩხვლეტა" მიაყენეს. ბოლო სიტყვა 28 წლის მარად ახალგაზრდა „დოქტორისა" იყო, თუმც წლეულს მეოთხე გამარჯვებით მან მხოლოდ მისთვის არასახარბიელო, სავიცეჩემპიონო პოზიცია განიმტკიცა.

მომდევნო ეტაპი მომავალ კვირას იაპონიაში შედგება.

**გია ახალაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატი. XIV ეტაპი**

**პორტუგალიის დიდი პრიზი. ეშტორილი— 4,18 კმ**

**მოტო გრან პრი — 117,0 კმ**

| | |
|---|---|
| 1 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) | 45 წთ; 49,9 |
| 2 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) | ჩამორჩა 0,2 |
| 3 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) | 1,5 |

**საერთო ჩათვლა**

1 სტოუნერი 287 ქულა; 2 როსი 211; 3 პედროსა 188; 4 ჯონ ჰოპკინსი (აშშ, რიზლა სუზუკი) 150; 5 კრის ვერმეულენი (ავსტრალია, რიზლა სუზუკი) 147

**250 სმ³— 109,0 კმ**

| | |
|---|---|
| 1 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) | 43 წთ; 56,5 |
| 2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) | ჩამორჩა 4,4 |
| 3 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) | 6,1 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლორენცო 257 ქულა; 2 დოვიზიოსო 206; 3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, მასტერ აპრილია) 197; 4 ბატისტა 160; 5 ჰექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) 130

**125 სმ³— 97,0 კმ**

| | |
|---|---|
| 1 ჰექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) | 40 წთ; 46,3 |
| 2 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) | ჩამორჩა 0,1 |
| 3 პოლ ესპარგარო (ესპანეთი, ბელსონ აპრილია) | 0,2 |

**საერთო ჩათვლა**

1 ტალმაში 209 ქულა; 2 ფაუბელი 204; 3 ტომოიოსი კოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) 154; 4 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზეედორფ დერბი) 132; 5 სიმონე კორსი (იტალია, ხკაილდ აპრილია) 132

ჭადრაკი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**
**12-30 სექტემბერი. მეხიკო. მექსიკა**

**II ტური**

| | | |
|---|---|---|
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0:1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |

**III ტური**

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1:0 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |

**III ტური**

| | | |
|---|---|---|
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |

# ორად ორი მეგობარი

**ჩემპიონატის** ფავორიტებმა ვიშვანათან ანანდმა და ვლადიმირ კრამნიკმა მეორე ტურის შეხვედრები მოიგეს და ცხრილის თავშიც ალზევდნენ.

კრამნიკმა თანამემულე ალექსანდრ მოროზევიჩს თეთრი ფიგურებით სძლია, ანანდმა კი სომეხ ლევონ არონიანს — შავებით.

მოროზევიჩთან მატჩისას კრამნიკმა მეტოქეს დებიუტში მხედარი და პაიკი შესწირა, სათამაშო უპირატესობას დაეუფლა და 27-ე სვლაზე მოიგო. შეხვედრას ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ქართველი ზურაბ აზმაიფარაშვილი აევნებდა თვალს. მისი აზრით, მოგების შანსი მოროზევიჩსაც ჰქონდა 21-ე სვლაზე, თუმც მერე ხეირიანად ვერ ითამაშა და ქულაც დაკარგა.

მესამე ტურში ანანდი და კრამნიკი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ინდუსმა კლასიკური ე4-ით დაიწყო შეხვედრა, მე-4 სვლაზე პაიკი გაუცვალა მეტოქეს და იერიშები წამოიწყო. რუსი აქტიურად ჩაერთო თამაშში, ანანდის მოიერიშე არმია მოიგერია და 35-ე სვლაზე პაიკით დაწინაურდა. ინდოელმა ყაიმისთვის დაიწყო ბრძოლა, კრამნიკმა კი ლაზიერის ფლანგზე ეულად დარჩენილი პაიკი დაქოქა და ჩათვლის ხაზისკენ მიმართა. ანანდმა შავი პაიკის შესაჩერებლად ეტლი გაუშვა, მანევრებში კრამნიკს აჯობა და 65-ე სვლაზე ყაიმს გამორჩა.

მეოთხე ტურში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ფავორიტებმა ყაიმებით ითამაშეს და ლიდერობა შეინარჩუნეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

# მსოფლიოს ჩემპიონატი
## ბაქო. აზერბაიჯანი. 17-21 სექტემბერი

# მესამე და სამართალი
## ბაქო, მაკოტო სასამოტო და გატეხილი ნავსი



„ამ ბიჭს ყველანაირი მონაცემი და შესაძლებლობა აქვს, თავის წონაში მსოფლიოში საუკეთესო იყოს. ალბათ ასეცაა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები ისე იჭიდავა, ყველა მთავარ ფავორიტად თვლიდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში რა ემართებოდა, ძნელი ასახსნელია. ფინალში განსაკუთრებული მობილიზებაა საჭირო, რაც მან ჯერ ვერაფრით ვერ მოახერხა" — ეს კომენტარი საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ დავით ბედინაძის შარშანდელ მსოფლიოს ფინალს მოაყოლა. მაშინ დათომ ოქრო ბოლო წამებზე დაკარგა. ევროპული ოქრო ბოლო წამებზე გაუსხლტა ხელიდან. ესეც შარშან იყო, მსოფლიომდე რამდენიმე თვით ადრე.

უიღბლო ფინალისტის სახელი ივლისში, „ქარიშხალას" დარბაზში ერთხელაც გაამართლა, როცა მოულოდნელად, გადამწყვეტ მომენტში წაიფორხილა. სპეციალისტები ფსიქოლოგიურ მომენტზე ალაპარაკდნენ. ჭიდაობა რომ ჯგუფური სისტემით ტარდებოდეს და ფინალი არ არსებობდეს, ჩემპიონი ყველა ტურნირში ბედინაძე იქნებოდაო — ესეც საჭიდაო სამყაროში ექსკლუზიურად დათოსთვის შეთხზული ხუმრობაა.

ნავსი გატყდა და საბედნიეროდ ეს გუშინ, ბაქოში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მოხდა. თან ისე ლამაზად და ეფექტურად, ყველა წინა იმედგაცრუება ერთად გადაიფარა. დავით ბედინიძემ გადამწყვეტი ბრძოლის დასრულებამდე წამებით ადრე იაპონელი მაკოტო სასამოტო ჰაერში აიტაცა და ოქროს ტრიალით მსოფლიოს ჩემპიონობა გაინაღდა. მეტოქეს შეხვედრის გადასარჩენად აღარც ძალა ჰქონდა და აღარც დრო.

აზერბაიჯანის მთავარქალაქში მოჭიდავეთა ხუთდღიანი მსოფლიოს პირველობა გუშინ გაიხსნა და პირველივე დღეს დარბაზში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა. ქართველმა ბერძენ-რომაელმა მსოფლიოს ზემოდან 2003 წლის შემდეგ პირველად გადმოხედა. საჩემპიონო გზაზე სასამოტომდე ბედინიძემ ფინელი ალა-ჰუიკუ, ბერძენი გიკასი და რუმინელი დიაკონუ ჩამოიცილა და ოქროსთან ერთად პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიაც აქედანვე დაიბევა.

გუშინვე მედლები 55 და 66 კილოგრამ წონით კატეგორიებში გათამაშდა, მაგრამ საპრიზოს ჩვენებურები ვერ შეწვდნენ. მამუკა ხოზრევანიძე და ლაშა ლომაძე პირველსავე წრეში დამარცხდნენ და რახან მათმა მძლეველებმაც უშედეგოდ იჭიდავეს, რეპეშაჟში გადართვის შანსიც აღარ მისცემიათ. დღეს ხალიჩაზე მომდევნო სამი წონა გავა და საქართველოს ღირსებას მანუჩარ კვირკველია (74კგ), ბადრი ხასაია (84კგ) და რამაზ ნოზაძე (96კგ) დაიცავენ.

**ოთარ ჭალლაძელიძე**

**ბერძნულ-რომაული**

**55 კგ**
1 სორიან რეიხანპური (ირანი)
2 იუნ-ჩოლ პარკი (ს. კორეა)
3 ნაზირ მანკიევი (რუსეთი)
3 კრისტიან ფრისი (სერბეთი)

— მამუკა ხოზრევანიძე (საქ)

**60 კგ**
1 დავით ბედინაძე (საქართველო)
2 მაკოტო სასამოტო (იაპონია)
3 ეისებიუ დიაკონუ (რუმინეთი)
3 იუ-ხიუნ იანგი (ს. კორეა)

**66 კგ**
1 ფარიდ მანსუროვი (აზერბაიჯანი)
2 სტივ ჟენო (საფრანგეთი)
3 ჯასტინ გარი ლესტერი (აშშ)
3 ნიკოლაი გერგოვი (ბულგარეთი)

— ლაშა ლომაძე (საქართველო)



# მსოფლიოს ჩემპიონატი
## რიო დე ჟანეირო. ბრაზილია. 13-16 სექტემბერი

CAMPEONATO MUNDIAL DE JUDO

# მედლები, რა ფერიც გინდა
## ირაკლი ცირეკიძის ოქროს და ლაშა გუჯეჯიანის ბრინჯაოს ნესტორ ხერგიანმა ვერცხლი მოაყოლა

**საქართველოს** ძიუდოისტთა ნაკრებმა ბრაზილიური მსოფლიოს ჩემპიონატი სამი მედლით ჩაამთავრა. ირაკლი ცირეკიძის (90კგ) ოქროსა და ლაშა გუჯეჯიანის (+100კგ) ბრინჯაოზე წინა მიმოხილვებშიც დავწერეთ. ტურნირის ბოლო დღეს კი კვარცხლბეკზე ნესტორ ხერგიანიც (60კგ) ავიდა. შოთა ხაბარელის გუნდის უმსუბუქესმა და ყველაზე გამოცდილმა წევრმა რიო დე ჟანეიროს ტატამიდან ვერცხლი გამოიტანა.

ხერგიანი თხუთმეტკაცა მეოთხე ჯგუფში მოხვდა, რომელიც შემადგენლობის სიძლიერით წინა სამს აშკარად სჯობდა. ევროპის რუსი ჩემპიონი რუსლან კიშმახოვი, პრიზიორი სალამატ უტარბაევი და იაპონელი ტაცუაკი ეგუსა, ცხადია, ფავორიტებში მოიხსენიებოდნენ და ჩვენებურს მათ შორის საუკეთესო უკვე მეოთხედფინალში უნდა დასჭიდებოდა. კიშმახოვმა პირველსავე წრეში მაროკოელ ელ იდრისთან წააგო. მერე ამას უტარბაევმა აჯობა, თავად კი ეგუსასთან დამარცხდა და ნესტორიც იაპონელს შეხვდა.

ქართველმა ტურნირი ბელარუსი სერგეი ნოვიკოვით დაიწყო და მეტოქეს იუკოთი და ორი კოკათი სძლია. ეკვადორელ ხოსე რომეროს წუთნახევარში იპონით მოუმთავრა საქმე. ამერიკელ ტარაჯ უილიამსს — ორწუთნახევარში.

ქართულ-იაპონურ ბრძოლაში ნახევარფინალის საგზური ხერგიანმა იუკოთი მოიპოვა. იქ კი მონღოლ ცაგაანბაატარ ხასაანბაატართან ქულებით აგებდა და სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე მოწინააღმდეგე ბეჭებზე დასცა.

საპირისპირო ბადიდან ჩვენებურისთვის ყველაზე არასასურველი მეტოქე ავსტრიელი ლუდვიგ პაიშერი იყო, თუმცა მისი ოქროს გზა მეოთხედფინალში ჩაიხერგა. ფინალში კი პოლანდიელი რუბენ ჰუქსი გავიდა, რომელსაც იქამდე იპონს ვინ ჩივის, ვაზარიც კი არავისთვის გაეკეთებინა. პოლანდიელი სამწუხაროდ, ნესტორთანაც კინკილა იუკოთი გავიდა ფონს და ტრიბუნებზე მსხდომთ პოლანდიის ჰიმნი მოასმენინა.



AFP რიო დე ჟანეირო

ჩემპიონატის წერტილი კი აბსოლუტურმა წონამ დასვა. ზოგიერთმა ნაკრებმა ტატამზე მძიმე წონაში ნაჭიდავები ძიუდოისტები მეორედ გაიყვანა. ზოგმაც სხვა მძიმეწონოსნები დააყენა. საქართველოს სახელით ამჯერად ზვიად ხანჯალაშვილმა იჭიდავა, მაგრამ თავიდანვე წააგო მონღოლ ნიჰათ ტუვშინბაიართან და რახან ნახევარფინალს ვერც მონღოლმა მიაღწია, რეპეშაჟის შანსიც დაკარგა. მერვე ოქრო კი იაპონელმა იასუიუკი მუნეტამ მოიპოვა. ცნობისთვის, იაპონიის მძლავრი ნაკრებიდან მსოფლიოს ჩემპიონი მხოლოდ მუნეტა გახდა.

მოლოდინისამებრ, უმედლოდ და ულიცენზიოდ ჩაამთავრეს ტურნირი ჩვენი ქალთა ნაკრების წევრებმა ლუსკა ქრიმოვამ (57კგ) და თინათინ ქულუსაშვილმა. პირველმა მეორე წრეში წააგო, მეორემ — პირველში.

**ოთარ ჭალლაძელიძე**

**60 კგ**
1 რუბენ ჰუქსი (პოლანდია)
2 ნესტორ ხერგიანი (საქართველო)
3 ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია)
3 მინ ჰო ჩოი (ს. კორეა)

**აბსოლუტური**
1 იასუიუკი მუნეტა (იაპონია)
2 იური რიბაკი (ბელარუსი)
3 მეტიუ ბატე (საფრანგეთი)
3 აბდულო ტანგრიევი (უზბეკეთი)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ ჭალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge